

ანგარიში – 2024

საქართველოს თავდაცვის დილემა –
რთული არჩევანი რთულ ვითარებაში

REPORT – 2024

GEORGIA'S DEFENCE MODEL - A CRITICAL
CHOICE IN A RISKY ENVIRONMENT

ავტორები:

შალვა ძევისაშვილი
ირაკლი ლეყვინაძე
გიორგი ბილანიშვილი
ტატო კვამლაძე
ვაჟა სოფრომაძე

Authors:

Shalva Dzebisashvili
Irakli Lekvinadze
Giorgi Bilanishvili
Tato Kvamladze
Vazha Sopromadze



SECURITY, POLICY
AND NATIONALISM
CENTER (UGSPN)

ანგარიში – 2024

საქართველოს თავდაცვის დილაგა - რთული
არჩევანი რთულ ვითარებაში

REPORT – 2024

GEORGIA'S DEFENCE MODEL - A CRITICAL CHOICE IN A RISKY
ENVIRONMENT



SECURITY, POLICY
AND NATIONALISM
CENTER (UGSPN)

ავტორები:

შალვა ძებისაშვილი
ირაკლი ლექვინაძე
გიორგი ბილანიშვილი
ტატო კვამლაძე
ვაჟა სოფრომაძე

AUTHORS:

Shalva Dzebisashvili
Irakli Lekvinadze
Giorgi Bilanishvili
Tato Kvamladze
Vazha Sopromadze

თექნიკური რედაქტორი:

ნინო სუარიძე

MANAGING EDITOR:

Nino Suaridze

რედაქტორი:

მარინა ჟღენტი

EDITOR:

Marina Zhgenti

ყველა უფლება დაცულია. დაუშვებელია წინამდებარე გამოცემის რომელიმე ნაწილის გამოქვეყნება, თარგმნა, ხელახალი პუბლიკაცია ან გადაცემა ნებისმიერი ფორმით თუ საშუალებით, ელექტრონულად (CD-Rom, ინტერნეტი, ა.შ.), მექანიკურად, მათ შორის, ასლის გადაღების, ჩანერის, ინფორმაციის შენახვის თუ ამოღების ნებისმერი სისტემის მეშვეობით, საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე. დაბეჭდილია საქართველოში.

საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა © 2024

საქართველოს უნივერსიტეტი
კოსტავას 77ა
თბილისი, საქართველო 0171
2 55 22 22
info@ug.edu.ge; ug@ug.edu.ge

ანგარიში – 2024

**საქართველოს თავდაცვის დილემა - რთული
არჩევანი რთულ ვითარებაში**

შინაარსი

წინასიტყვაობა.....	5
მოკლე შინაარსი.....	6
შესავალი.....	7
I. საქართველოს უსაფრთხოების გარემო - ძირითადი ტენდენციები და საფრთხეები.....	9
სამხედრო საფრთხეები.....	10
არასამხედრო ხასიათის საფრთხეები.....	11
გლობალური ტენდენციები და პროცესები.....	12
II. თანამედროვე ომისა და ბრძოლის მნიშვნელოვანი ტენდენციები.....	14
ყარაბაღის 44 დღიანი ომი (2020 წელი).....	15
რუსეთის აგრესია უკრაინის წინააღმდეგ.....	16
შემაჯამებელი დასკვნები.....	16
III. ოკერატული ხედვა და საჭირო საბრძოლო შესაძლებლობები.....	18
ოკერატული ხედვა.....	19
თავდაცვის ძალების საბრძოლო შესაძლებლობები და ტექნოლოგიური ასპექტები.....	20
IV. ძალთა სტრუქტურა, მართვა და თავდაცვის შესაძლებლობები.....	23
მაქსიმალისტური მიდგომა - ძალთა სტრუქტურა და ფინანსური რესურსები.....	24
რეალისტური მიდგომა - ძალთა სტრუქტურა და ფინანსური რესურსები.....	27
V. თავდაცვის პოლიტიკა როგორც უსაფრთხოების პოლიტიკის ნაწილი, ინსტიტუციური მოწყობა და დემოკრატიული კონტროლი.....	32
თავდაცვა როგორც უსაფრთხოების (უწყებათშორისი) პოლიტიკის ნაწილი.....	33
თავდაცვის მინისტრის როლი და საპარლამენტო კონტროლი.....	35
ტოტალური თავდაცვის და უწყებათშორისი თანამშრომლობის მნიშვნელობა საქართველოს თავდაცვისუნარიანობისთვის.....	37
VI. დასკვნა.....	40
გადაუდებელი ნაბიჯები.....	41
გრძელვადიანი ნაბიჯები.....	42
გამოყენებული წყაროები.....	44

წინასიტყვაობა

გეოპოლიტიკური რღვევის პირობებში მყოფი მსოფლიო და განახლებული რუსული რევანშიზმი განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებს საქართველოს და მის პოლიტიკურ ელიტას ეფექტური თავდაცვის და უსაფრთხოების ეროვნული სისტემის მოწყობის თვალსაზრისით. პოლიტიკური ინსტიტუტების, ეკონომიკის და საზოგადოების ერთიანობისა თუ მედეგობის დაბალი ხარისხის გამო, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ქვეყნის თავდაცვის სისტემის, შეიარაღებული (თავდაცვის) ძალების შესაძლებლობების და უწყებრივი თანამშრომლობის მექანიზმების სწორი გააზრება და შემდგომი განხორციელება. საქართველო რეალურად დგას საბედისწერო არჩევანის წინაშე - ან მოხდება ქვეყნის უსაფრთხოების და სტრატეგიული მიზნების ადეკვატური ფორმულირება და შესაბამისი პოლიტიკის განხორციელება, ან ეჭვის ქვეშ დადგება საქართველოს როგორც პოლიტიკური ისე ფიზიკური ერთეულის არსებობა. შესაბამისად, საქართველოს უნივერსიტეტის, სოციალური მეცნიერების სკოლის

და UGSPN-ის ცენტრის ფარგლები განხორციელებული წინამდებარე კვლევა, მკაფიოდ წარმოაჩენს თავდაცვის და უსაფრთხოების სფეროში ქვეყნის წინაშე არსებულ არაერთ საფრთხეს და გამოწვევას, სთავაზობს მათზე მორგებული თავდაცვის სისტემის და შეიარაღებული ძალების ორ მოდელს (მაქსიმალისტურს და რეალისტურს) როგორც საერთო სტრუქტურის, ისე შესაძლებლობების დეტალური განხილვით. ამასთან ერთად, კვლევა გვთავაზობს ნათელ წარმოდგენას თუ რა ფინანსური რესურსის მობილიზებაა საჭირო გარკვეული პერიოდის განმავლობაში, რომლის უზრუნველყოფა პოლიტიკური პასუხისმგებლობა და ვალდებულებაა, ხოლო რომლის იგნორირების შემთხვევაში ქვეყნის თავდაცვა წყვეტს არსებობას და ფიქციად იქცევა.

ჩვენი ამოცანაა, რომ სწორედ ეს პოლიტიკური პასუხისმგებლობა დავანახოთ მკითხველს და მაქსიმალურად შევუწყოთ ხელი რეალური და ეფექტური თავდაცვის სისტემის სწრაფ მშენებლობას.



ნათია კალაძე

საქართველოს უნივერსიტეტის

სოციალური მეცნიერების სკოლის დირექტორი

მოკლე შინაარსი

შესავალი:

ანგარიში მიმოიხილავს საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვის სფეროებში არსებულ მდგომარეობას, აკეთებს ამ სფეროებში არსებული ძირითადი პრობლემების კომპლექსურ ანალიზს, როგორც შიდა, ისე გარე ფაქტორების გათვალისწინებით და გვთავაზობს ხედვასა და რეკომენდაციებს ამ ნაკლოვანებების აღმოფხვრისთვის, მათ შორის, თავდაცვის ოპტიმალური მოდელის სახით.

თანამედროვე ომის / ბრძოლის მნიშვნელოვანი ტენდენციები:

თანამედროვე ომებმა, მათ შორის, განსაკუთრებით ისეთებმა, რომლებიც მოხდა ან/და მიმდინარეობს ჩვენ რეგიონში (აზერბაიჯანი-სომხეთი და რუსეთი-უკრაინა) გამოკვეთა ომის/ბრძოლის მთელი რიგი ახალი, თანამედროვე ტენდენციები. იგი ეხება, როგორც თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას, ისე სამხედრო აღჭურვილობას, საბრძოლო მომზადებას და სხვა მნიშვნელოვან ასპექტებს. ცხადია, რომ ეს ახალი ტენდენციები გათვალისწინებული უნდა იყოს, როგორც უშუალოდ თავდაცვის პოლიტიკის დაგეგმვისას, ისე უფრო ფართოდ ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავებისას,

ოპერატიული ხედვა და საჭირო საბრძოლო შესაძლებლობები:

საქართველოს წინააღმდეგ შესაძლო ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესიის ოპერატიული სურათის დეტალური ანალიზი საშუალებას გვაძლევს უფრო ზუსტად განვსაზღვროთ საქართველოს შეიარაღებული ძალების ამოცანები. ამის შესაბამისად, კი დგინდება შეიარაღებული ძალების საჭირო რაოდენობა, სათანადო სტრუქტურა და ტრანსფორმაციისთვის საჭირო მატერიალურ-ფინანსური რესურსები.

ძალთა სტრუქტურა მართვა და თავდაცვის შესაძლებლობები (მაქსიმალისტური vs. რეალისტური მოდელები):

მაქსიმალისტური მოდელის გენერირების საფუძველზე მკაფიოდ იკვივება ის უზარმაზარი სხვაობა, რომელიც მატერიალურ-ტექნიკური, ფინანსური თუ სხვა თვალსაზრისით ამ (მაქსიმალისტური) მოდელსა და დღევანდელ რეალობას შორის არსებობს. რეალისტური მოდელი, თავის მხრივ, გვთავაზობს გონივრულ კომპრომისს ფინანსურ შესაძლებლობებსა და მინიმალურად აუცილებელ თავდაცვის / საბრძოლო პოტენციალს შორის, რომელმაც უნდა შეაკავოს აგრესია, ხოლო ომის თავიდან ვერ აცილების შემთხვევაში უნდა უზრუნველყოს ქვეყნის ეფექტური თავდაცვა და სუვერენიტეტის შენარჩუნება ამჟამად კონტროლირებად ტერიტორიებზე.

თავდაცვის პოლიტიკა როგორც ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ნაწილი, ინსტიტუციური მოწყობა და დემოკრატიული კონსტრუქტი:

თავდაცვის პოლიტიკა წარმოადგენს ერთიანი ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის შემადგენელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს, რომელიც მჭიდრო უწყებათაშორისი კოორდინაციის პირობებში უნდა განხორციელდეს. დღეს არსებული ეროვნული უსაფრთხოების სისტემა საჭიროებს არსებით რეფორმას უფლებამოსილების გამიჯვნის, კანონმდებლობის დახვეწის, კოორდინაციისა და მონიტორინგის მექანიზმების გაუმჯობესების და პარლამენტის როლის გაზრდის თვალსაზრისით

დასკვნა:

დღეისათვის საქართველოს თავდაცვის შესაძლებლობები და სისტემა სრულიად არაადეკვატურია ქვეყნის წინაშე არსებული გეოპოლიტიკური, უსაფრთხოების და სამხედრო გამოწვევებისა (საფრთხეების), რაც მთელი რიგი გადაუდებელი ნაბიჯების გადადგმას მოითხოვს. ამასთან ერთად, უსაფრთხოების სფეროს მუდმივი განვითარებისთვის აუცილებელია დეპოლიტიმიზებული, სისტემური მიდგომა, რომელიც მკაფიო საკანონმდებლო და ინსტიტუციონალურ ჩარჩოს დაეფუძნება.

შესავალი

აღნიშნული დოკუმენტი მომზადებულია საქართველოს უნივერსიტეტის სოციალური მეცნიერებების სკოლის ბაზაზე არსებული უსაფრთხოების, პოლიტიკის და ნაციონალიზმის ცენტრის მიერ. პროექტის ფარგლებში განხორციელდა საქართველოს უსაფრთხოების და თავდაცვის სფეროს კომპლექსური ანალიზი, რომლის საფუძველზეც მოხდა ქვეყნის წინაშე არსებული უსაფრთხოების გამოწვევებისა და ინსტიტუციური ჩავარდნების გათვალისწინებით თავდაცვის ყველაზე ოპტიმალური ორი მოდელის ფორმულირება და რეკომენდაციების შემუშავება: 1 - პირველი მოდელი სრულიად მორგებულია უსაფრთხოების და თავდაცვის სისტემის მოთხოვნილებებზე ყველგვარი რესურსობრივი (განსაკუთრებით ფინანსური) შეზღუდვების გარეშე, ხოლო 2 - მეორე მოდელი შედარებით რეალისტურია და ანგარიშს უწევს ქვეყნის ფინანსურ შესაძლებლობებს და შეზღუდვებს.

თავდაცვის სისტემის ოპტიმალური მოდელების შემუშავება, ბუნებრივია ითვალისწინებს თავდაცვის ამოცანებთან ბმაში არსებული უსაფრთხოების სხვა სფეროების და ინსტიტუციების მიმოხილვას (გაანალიზებას) და ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვის პროცესის შეფასებას. შესაბამისად, დოკუმენტი კრიტიკულად განიხილავს როგორც პარლამენტის როლს და ფუნქციებს თავდაცვის პოლიტიკის სფეროში, ასევე უსაფრთხოების საბჭოს, პრეზიდენტის და მასთან არსებული თავდაცვის საბჭოს უფლებამოსილებებს და უწყებათშორისი კოორდინაციის არსებულ მექანიზმებს. აღნიშნული მოდელები შეიცავს როგორც თავდაცვის ძალების არსებული და სასურველი საბრძოლო შესაძლებლობების ანალიზს, ასევე ძალთა სტრუქტურის და კომპოზიციის მკაფიო სურათს, რომელსაც შესაბამისი მატერიალურ-რესურსობრივი გათვლები და დროის კონკრეტულ პერიოდში განაწილებული ტრანსფორმაციის პროცესის აღწერაც მოჰყვება. დოკუმენტს ასევე გააჩნია პრაქტიკული დატვირთვა, რადგანის ასრულებს ერთგვარი სამუშაო დოკუმენტის ფუნქციას როგორც პოლიტიკური პარტიების შიდა განხილვებისთვის ასევე მათი პოლიტიკური პროგრამების შემუშავება-დახვეწისთვის.

სტრუქტურულად დოკუმენტი დაყოფილია სამ ნაწილად. პირველი ნაწილი მთლიანად დაეთმო თავდაცვის ძალების სასურველი მოდელების განხილვას. მიმოხილვა იწყება ქვეყნის წინაშე არსებული საფრთხეებისა და გამოწვევების, რეგიონალური და უსაფრთხოების კონტექსტში რელევანტური გლობალური პროცესების ფორმულირებით. შემდეგ ეტაპზე ხდება ომისა და ბრძოლის სამომავლო ხედვისა და მის საფუძველზე ოპერატიული და საბრძოლო შესაძლებლობების თვალსაზრისით მოთხოვნილებების ჩამოყალიბება. ამის საფუძველზე დოკუმენტი საბოლოო ჯამში დეტალურად განიხილავს თავდაცვის ძალების სასურველ სტრუქტურას (ალტერნატიულის ჩათვლით), მის შესაძლებლობებს და აღჭურვას, დაკომპლექტებას, ლოჯისტიკას და ინფრასტრუქტურას, მათ შორის საბიუჯეტო გათვლებს ძალთა ტრანსფორმაციისთვის დადგენილი პერიოდის განმავლობაში. დოკუმენტის მეორე ნაწილში განხილულია თავდაცვის და უსაფრთხოების სფეროს ინსტიტუციური მოწყობა - პარლამენტის, თავდაცვის მინისტრის, გენერალური შტაბის, უსაფრთხოების საბჭოს, თავდაცვის საბჭოსა და პრეზიდენტის ფუნქციური ეფექტურობა, რაც არსებითად მნიშვნელოვანია უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის, დაგეგმვის და დემოკრატიული კონტროლის განსახორციელებლად. მესამე ნაწილში მიმოხილულია უსაფრთხოების და თავდაცვის სფეროში უწყებათშორისი თანამშრომლობა, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია სამხედრო და სხვა სახის კრიზისებზე ეფექტური რეაგირების თვალსაზრისით. აღნიშნული პირველ რიგში გულისხმობს საქართველოს თავდაცვის ძალების მოქმედების კოორდინაციას სხვა უწყებებთან კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვის, ბუნებრივ კატასტროფებზე რეაგირების, საზღვრის დაცვისა და საოკუპაციო ხაზის გასწვრივ უსაფრთხოების მაქსიმალური უზრუნველყოფისთვის.


დოკუმენტის დანიშნულებიდან გამომდინარე სამივე ნაწილში ფორმულირებულია რეკომენდაციები, რომლებიც ღონისძიებათა ფართო სპექტრს მოიცავს (უწყებრივ-სტრუქტურული, სამართლებრივი, ფინანსურ-რესურსობრივი, დოქტრინალური და ა.შ.), რომელთა განხორციელების შემთხვევაში, შესძლებელი ხდება დასახული მიზნის მიღწევა:

1 - საქართველოს უსაფრთხოების და თავდაცვის სფეროს/სისტემის საგრძნობი ინსტიტუციური გაუმჯობესება; 2 - თავდაცვის ძალების სწრაფი განვითარება და ბრძოლისუნარიანობის ამაღლება, საბრძოლო ამოცანების შესაბამისად; 3 - უწყებათშორისი კოორდინაციისა და სხვადასხვა სახის კრიზისებზე ერთობლივი რეაგირების ეფექტურობის მნიშვნელოვანი გაზრდა.

დოკუმენტის დამატებითი ღირებულებას წარმოადგენს მისი ის ნაწილი, სადაც მკაფიოდ არის განვლილი რეკომენდაციების განხორციელების პოლიტიკური პასუხისმგებლობა და თანმდევი მატერიალურ-ფინანსური ხარჯები. აღნიშნული მეტად მნიშვნელოვანია, რათა პოლიტიკური სპექტრისთვის გასაგები გახდეს თუ რა რეალური საფრთხის წინაშე შეიძლება დადგეს ქვეყანა დოკუმენტში ასახული რეკომენდაციების არ - ან ნაწილობრივი შესრულების შემთხვევაში.

თავი I

საქართველოს უსაფრთხოების
გარემო - ძირითადი ძენდენციები
და საფრთხეები



საქართველოს უსაფრთხოების გარემო - ძირითადი ტენდენციები და საფრთხეები

წინამდებარე თავში განხილულია საქართველოს უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვანი პროცესები და ტენდენციები, როგორც გლობალური ასევე რეგიონალური მასშტაბით. მათთან მჭიდრო კონტექსტში გაანალიზებულია ქვეყნისათვის ძირითადი სამხედრო და არასამხედრო ხასიათის საფრთხეები და მოსალოდნელი რისკები. აღნიშნული პროცესებისა და სხვადასხვა სახის საფრთხეების იდენტიფიცირება-განხილვა მნიშვნელოვანია იმ ასპექტების დასადგენად, რაც გადამწყვეტ როლს თამაშობს და ითამაშებს კიდევ მომავალში ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებისთვის. ამავე დროს, ამ გზით შესაძლებელი ხდება საერთაშორისო თუ ქვეყნის შიდა პოლიტიკის შესაბამის სფეროებში ადეკვატური ნაბიჯების დაგეგმვა და მაქსიმალური მომზადება აღნიშნული საფრთხეებისა და რისკების გასაწინააღმდეგებლად.

სამხედრო საფრთხეები:

▶ ძირითადი სამხედრო საფრთხე

რუსეთს როგორც დიდ და რეგიონალურ ძალას, კვლავინდებურად გააჩნია ამბიცი

და რესურსი ალადგინოს სრული კონტროლი საქართველოზე, რისთვისაც იგი, ჰიბრიდულთან, ერთად კონვენციურ ომსაც მიმართავს. რუსეთიდან მომდინარე საფრთხის ინტენსივობაზე გავლენას ახდენს უკრაინაში სამხედრო ინტერვენცია, რაშიც ჩართულია მისი ძირითადი რესურსები¹. მიუხედავად ამისა, როგორც რუსული პოლიტიკური ელიტის განწყობა, ისევე კრემლის ხელთ არსებული სამხედრო რესურსები არ იძლევა იმ ვარაუდის გაკეთების შესაძლებლობას, რომ რუსული სამხედრო აგრესიის საფრთხე მოხსნილია დღის წესრიგიდან. უფრო მეტიც, უნდა დავუშვათ, რომ უკრაინაში საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ, რუსეთს კვლავ შერჩება უნარი თავი მოუყაროს სათანადო რაოდენობის სამხედრო ძალას საქართველოს წინააღმდეგ. ამასთან ერთად, უკრაინის ფრონტზე დამარცხების დასაკომპენსირებლად, მოსკოვში შესაძლოა განმტკიცდეს პოლიტიკური ნება, რომ განახორციელონ საქართველოში წარმატებული სამხედრო კამპანია.

▶ სხვა სახის სამხედრო საფრთხეები

პირდაპირი სამხედრო აგრესიის პარალელურად თუ მისგან დამოუკიდებლად, რეალურ საფრთხეს წარმოადგენს ე.წ. „პროქსი“ ძალების მეშვეობით (აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის საოკუპაციო რეჟიმები) ოკუპირებული ტერიტორიებიდან საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე დივერსიული ჯგუფების ინფილტრაცია და მოქმედება როგორც საქართველოს ძალოვანი უწყებების, ადმინისტრაციული დაწესებულებებისა და კრიტიკული ინფრასტრუქტურის ობიექტების წინააღმდეგ, ისე მოსახლეობის დაშინებისა და განადგურების მიზნით.

სამხედრო აგრესიის განახლების, ისევე როგორც ჰიბრიდული მოქმედებების საფრთხესთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ბორდერიზაციის მიმდინარე პროცესი, რომელიც ახალი ტერიტორიების მიტაცებისა და საქართველოს მოქალაქეების გატაცების გარდა, მთელი სიმწვავით წარმოაჩენს საოკუპაციო ხაზის გასწვრივ სათანადო ინფრასტრუქტურის მოწყობის (და რეაგირების) მნიშვნელობას

¹ Asami Terajima, Military intelligence: More than 420,000 Russian soldiers deployed across occupied territories, The Kyiv Independent, 2023. <https://kyivindependent.com/military-intelligence-more-than-420-000-russian-soldiers-deployed-across-occupied-territories/>

ქვეყნის უსაფრთხოებისთვის ოკუპირებული ტერიტორიების პრობლემის გამწვავებას ხელს შეუწყობს დე-ფაქტო ხელისუფლებებისთვის დამატებითი, მათ შორის, შედარებით თანამედროვე ტიპის შეიარაღების გადაცემა. აღნიშნული არამხოლოდ გაზრდის სეპარატისტული ტერიტორიების სამხედრო შესაძლებლობებს, არამედ გაცილებით გაართულებს შეიარაღებასა და საბრძოლო მასალების უკონტროლო მიმოქცევამდე ეფექტური კონტროლის განხორციელებას. ეს კი განსაკუთრებით საშიშია როგორც უპილოტო დრონების, ისე გადასატანი საზენიტო სარაკეტო საშუალებების დივერსიული და ტერორისტული მიზნებისთვის გამოყენების კონტექსტში.

აზერბაიჯანის მიერ ყარაბაღის საკითხის მოგვარების მიუხედავად, გარკვეულ დონეზე კვლავ ინარჩუნებს აქტუალობას სამხედრო კონფლიქტის ესკალაციის საფრთხე აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის ზანგეზურის დერეფნის პრობლემის გარშემო, რომელშიც ასევე შეიძლება ჩაერთოს ირანი და თურქეთი.² აღნიშნული არა მხოლოდ გააუარესებს პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ (სატრანსპორტო, სავაჭრო) ფონს რეგიონში, არამედ შეიძლება შექმნას პრეტექსტი სომხეთის მიმართულელებით სახმელეთო დერეფნის გახსნის მოთხოვნის საბაბით საქართველოში რუსული ჯარების შემოჭრისთვის.

რუსეთის ცენტრალური ხელისუფლების დასუსტების ფონზე შესაძლოა კვლავაც გაღვივდეს არასტაბილურობის კერები და განახლდეს შეიარაღებული კონფლიქტები ჩრდილოეთ კავკასიაში, რასაც აუცილებლად ექნება სხვადასხვა ტიპის გავლენა საქართველოზე. მათ შორის, განსაკუთრებით, გაიზრდება საქართველოს ტერიტორიაზე ჩრდილოეთ კავკასიიდან სხვადასხვა შეიარაღებული და კრიმინალური ჯგუფების შემოღწევის საფრთხე.

ირანის ბირთვული პროგრამის გამო შესაძლოა დაიწყოს ფართომასშტაბიანი სამხედრო კონფლიქტი აშშ-ის და ისრაელის მონაწილეობით, რასაც მოყვება სხვადასხვა სახის თანმდევი ნეგატიური პროცესები და საფრთხეები სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისთვის, მათ შორის, საქართველოსთვის.

არასამხედრო ხასიათის საფრთხეები

ამ ქვეთავში აღწერილია ისეთი ტენდენციები და საფრთხეები, რომლებიც მოიცავენ სხვადასხვა (არასამხედრო) სფეროებს, სათანადო ნიადაგს ქმნიან და აძლიერებენ ჰიბრიდული ომის დამაზიანებელ ეფექტს და მოაქვთ ბიანი, როგორც პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობისთვის, ისე საზოგადოების უსაფრთხოებისა და განვითარებისთვის.

▶ თავისთავად ის გარემოება, რომ საქართველო მიეკუთვნება სუსტ სახელმწიფოთა კატეგორიას როგორც რესურსების სიმცირის, ისე ინსტიტუციებისა და პოლიტიკური ელიტის განვითარების არასათანადო დონის გამო მას უფრო მეტად მონყვლადს ხდის სხვადასხვა საფრთხეების მიმართ. სიტუაციას ამძიმებს ის გარემოებაც, რომ უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვის პროცესი საქართველოში უმეტესად არათანმიმდევრულად მიმდინარეობდა, ხოლო ბოლო წლებში ეს პროცესი საერთოდ მოშლილია.

▶ ქვეყანაში გაძლიერებულია პრო-რუსული პროპაგანდა, რომელიც მიზნად ისახავს დასავლეთში ინტეგრაციის მიმართ საზოგადოებაში არსებული კონსენსუსის მოშლას და პრო-რუსული განწყობების გაძლიერებას.³ ამავე დროს, პრო-რუსული პროპაგანდის გავლენის გასაძლიერებლად გაზრდილია მასში ისეთი გავლენიანი აქტორების ჩართულობის ხარისხი, როგორც საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია და ე.წ. კონსერვატიული ჯგუფებია.

▶ ბოლო პერიოდში სულ უფრო იზრდება კიბერშეტევების სიხშირე სტრატეგიული და სხვა მნიშვნელოვანი ინფრა-

² Anna Ohanyan, Azerbaijan's Armenian 'Corridor' Is a Challenge to the Global Rules-Based Order, Foreign Policy, 2023. <https://foreignpolicy.com/2023/11/02/azerbaijan-armenia-zangezur-corridor/>

³ A Russian informational operation in georgia against the european union, ISFED, 2023. <https://www.isfed.ge/eng/blogi/ganakhlebuli-rusuli-sainformatsio-operatsia-saqartveloshi-evrokavshiris-tsinaaghmddeg->

სტრუქტურის/ობიექტების წინააღმდეგ, რაც მათი მწყობრიდან გამოყვანის საფრთხეს ქმნის და დღის წესრიგში აყენებს ამ ობიექტების დაცულობის საკითხს.

- ▶ საქართველოში რუსული და ჩინური კომპანიების აქტივობის გაზრდის ფონზე გაზრდილია კორუფციის მასშტაბები, რაც დამატებით შესრულებული სამუშაოების და, განსაკუთრებით, სტრატეგიული, კრიტიკული ინფრასტრუქტურის ობიექტების სათანადო (ხარისხიანი) მშენებლობის პროცესს ეჭვის ქვეშ აყენებს.
- ▶ რუსეთის მიერ ხდება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის გავლით სატრანზიტო მიმოსვლის აღდგენა/დერეფნების გახსნის საკითხის აქტუალიზება, რაც, რეალიზაციის შემთხვევაში, არა მხოლოდ საქართველოს იმიჯს დააზიანებს დასავლელი პარტნიორების თვალში, არამედ კიდევ უფრო გაზრდის ქვეყნის ეკონომიკის დამოკიდებულებას რუსეთზე (შესაბამისად გაზრდის მოსკო-

ვის პოლიტიკური გავლენის ბერკეტებს) და კიდევ უფრო გაართულებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივას.⁴

- ▶ ქვეყანაში არსებული არასახარბიელო სოციალური და პოლიტიკური ვითარება, ასევე ცალკეული ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების საქართველოს საზოგადოებაში ინტეგრაციის არასათანადო დონე ზრდის სხვადასხვა ჯგუფებს შორის დაპირისპირების წარმოქმნის საფრთხეს.⁵ სიტუაციის ესკალაციისთვის შესაძლებელია გამოიყენონ საქართველოში მყოფი რუსეთის მოქალაქეები, ასევე, რადიკალური ჯგუფები, რომელთა გავლენა ბოლო პერიოდში გაზრდილია.
- ▶ უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ განსაკუთრებით გაიზარდა რუსეთიდან შემოსულ პირთა რაოდენობა, რომლებიც ან უკვე დამკვიდრდნენ ან ცდილობენ დამკვიდრებას საქართველოში, რაც ერთგვარ წინაპირობას ქმნის რუსეთის სპეცსამსახურების მიერ მათი

გამოყენებისთვის ქვეყნის კრიტიკული ინფრასტრუქტურის წინააღმდეგ (დივერსია - საბოტაჟი).⁶

გლობალური თინდენციები და პროცესები

ამ ქვეთავში აღწერილია ის საფრთხეები, რომელებიც მართალია საქართველოს განდამოუკიდებლად წარმოიქმნება საერთაშორისო პოლიტიკაში განვითარებული ტენდენციების ფონზე, მაგრამ უშუალო გავლენას ახდენენ ან შესაძლოა მოახდინონ საქართველოს უსაფრთხოებაზე, რაც აუცილებელს ხდის მათ გათვალისწინებას პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში.

- ▶ რუსეთის როგორც ტოტალიტარულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება და ჩინეთის მზარდი დაპირისპირება დასავლეთთან, ასევე დასავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში ავტორიტარიზმისკენ მიდრეკილი ტენდენციებისა და რადიკალური ჯგუფების გაძლიერება ხელს უწყობს დასავლეთის და ასევე, მისი ძირითადი ინსტიტუტების

⁴ Бжания: Сухуми готов возобновить железнодорожное сообщение, если Тбилиси согласится, Sova News, 2023. <https://sova.news/2023/10/22/bzhaniya-suhumi-gotov-vozobnovit-zheleznodorozhnoe-soobshhenie-esli-tbilisi-soglasitsya/>.
Мария Захарова: мы прилагаем все усилия для открытия железной дороги из РФ в Армению через Абхазию, Sova News, 2023., <https://sova.news/2023/06/28/mariya-zaharova-my-prilagaem-vse-usiliya-dlya-otkrytiya-zheleznoj-dorogi-iz-rf-v-armeniyu-cherez-abhaziyu/>

⁵ ემირეჯიბი & გაბუნია, საქართველოს უმცირესობები: ინტეგრაციის გზაზე არსებული ბარიერების ნგრევა, Carnegie Europe, 2021. https://carnegieendowment.org/files/Amirejibi_Gabunia_Georgia_Minorities_Georgian_Translation.pdf

⁶ 022 წელს საქართველოს საზღვარი რუსეთის 1 459 546-მა მოქალაქემ გადმოკვეთა – შსს-ს სტატისტიკა, ტაბულა, 2023. <https://tabula.ge/ge/news/696241-2022-cels-sakartvelos-sazghvari-rusetis-1-459-546>

- ნატოსა და ევროკავშირის პოზიციების შესუსტებას, რაც თავის მხრივ უარყოფითად აისახება საქართველოს უსაფრთხოებაზე.⁷
- ▶ სახეზეა ე.წ. მეორადი სანქციების საკითხის აქტუალიზება დასავლეთის მხრიდან, რაც რუსეთსა და საქართველოს შორის პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების ინტენსიფიკაციის ფონზე, ბრდის საქართველოს წინააღმდეგ საერთაშორისო სანქციების დაწესების ალბათობას;
 - ▶ დასავლეთის ქვეყნებში მაღალია უნდობლობის ხარისხი ჩინური ტექნოლოგიების მიმართ, რაც უკვე აისახება სათანადო პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში. ამ ფონზე, საქართველოს ჩინურ ტექნოლოგიებზე მზარდი დამოკიდებულება დამატებით ნეგატიურ ფაქტორს წარმოადგენს საქართველოსა და დასავლეთის ქვეყნების ისედაც გართულებული ურთიერთობების პროცესში.⁸
 - ▶ ახალი ტექნოლოგიების განვითარების სისწრაფე დღის წესრიგში აყენებს, მათი სწრაფი დაუფლების და დანერგვის, ან სანინააღმდეგო შემთხვევაში, ამ ტექნოლოგიების მქონე ძლიერ სახელმწიფოებთან მეგობრული ურთიერთობების შესაბამისი ფორმატის დამყარების აუცილებლობას.
 - ▶ ერთ-ერთ მზარდ და შეუჩერებელ პროცესს გლობალური მასშტაბით წარმოადგენს ბზარის რესურსებზე წვდომა სწორედ ამ კატეგორიას მიეკუთვნება და შესაბამისად მეტად მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, როგორც სამხრეთ კავკასიის წყლის რესურსების დიდი ნაწილის მფლობელისთვის.

⁷ Andrei Kolesnikov, Putin's War Has Moved Russia From Authoritarianism to Hybrid Totalitarianism, Carnegie Endowment for International Peace, 2022. <https://carnegieendowment.org/2022/04/19/putin-s-war-has-moved-russia-from-authoritarianism-to-hybrid-totalitarianism-pub-86921>

DEMOCRACY REPORT 2022, Autocratization Changing Nature?, The V-Dem Institute, 2023, https://v-dem.net/media/publications/dr_2022.pdf

⁸ Nakashima&Linch, Biden order proposes new restrictions on China tech investment, The Washington Post, 2023. <https://www.washingtonpost.com/national-security/2023/08/09/china-ban-technology-biden-military/>
 'Untrustworthy': US bans Chinese technology from Huawei, others, The Sydney Morning Herald, 2022. <https://www.smh.com.au/world/north-america/untrustworthy-us-bans-chinese-technology-from-huawei-others-20221126-p5c1gq.html>

თავი II

თანამედროვე ომისა და
ბრძოლის მნიშვნელოვანი
თანდენსიები



თანამედროვე ომისა და ბრძოლის მნიშვნელოვანი ტენდენციები

წინამდებარე თავში განხილულია ბოლო პერიოდში მომხდარი და მიმდინარე საომარი მოქმედებების სპეციფიკა და მათზე დაკვირვების საფუძველზე დადგენილია ის ძირითადი ტენდენციები (ოპერატიული-ტაქტიკური, თუ ტექნოლოგიური და რესურსობრივი) რაც გადამწყვეტია და დიდი ალბათობით არ დაკარგავს თავის მნიშვნელობას საშუალოვადიან პერსპექტივაშიც. აღნიშნული ტენდენციების შეჯამების საფუძველზე თავის ბოლოში მოკლედ წარმოდგენილია საქართველოსთვის რელევანტური დასკვნები.

ყარაბაღის 44-დღიანი ომი (2020 წელი)

▶ უპილოტო საფრენი აპარატების, კამიკაძე დრონების, (loitering munition) რობოტიზებული სისტემების როლი წარმოუდგენლად გაიზარდა როგორც ბრძოლის ველზე სადაზვერვო ინფორმაციის მოგროვებაში, ისე სიტუაციური ინფორმირებულობის გაუმჯობესებაში ყველა დონეზე (ტაქტიკური, ოპერატიული) და საცეცხლე დარტყმების ზუსტ და დროულ განხორციელებაში. შესაბამისად, უპილოტოების ინტეგრირებულობა ინფორმაციის მოპოვება-დამუშავება-გადაწყვეტილების მიღებაში

(C2-Command&Control) მნიშვნელოვან „ძალთა მულტიპლიკატორად“ იქცა.

▶ საბრძოლო ქვედანაყოფების ერთი მხრივ სათანადო რაოდენობრივი სიჭარბე, ხოლო მეორე მხრივ მათი მაღალი საბრძოლო მომზადება და აღჭურვილობა, გადამწყვეტი აღმოჩნდა იმ თვალსაზრისით, რომ ჩამოშლილი მართვის ფონზე სომხურ მხარეს მთელი რიგი მონაკვეთების დასაფარად არც ქვედანაყოფები ეყო და ვერც დიდი რაოდენობით რეზერვისტების გადასროლით მოხერხდა ვითარების გამოსწორება.

▶ საბრძოლო მოქმედებების თეატრის გეოგრაფია და ლანდშაფტი კვლავინდებურად მნიშვნელოვანია საბრძოლო მოქმედებების ტიპის და სირთულის განსასაზღვრად (მაგ. ყარაბაღის ჩრდილოეთის ფრონტი, ანუ ყველაზე მთაგორიანი მონაკვეთის გარღვევა აზერბაიჯანულმა არმიამ ვერ მოახერხა). ასევე კვლავინდებურად მნიშვნელოვანია საფუძვლიანად (საინჟინრო-ტექნიკურად) მომზადებული თავდაცვითი პოზიციების ინფრასტრუქტურა და ფორტიფიკაციები.

▶ ჯავშანტექნიკამ არ დაკარგა თავისი მნიშვნელობა, თუმცა საგრძნობლად გაიზარდა არტილერიასთან კომბინირებული მოქმედება და ზუსტი (დროული) საარტილერიო მხარდაჭერის მნიშვნელობა. ამასთან ერთად, თანამედროვე ბრძოლის სურათმა დღის წესრიგში დააყენა ჯავშანტექნიკის 360°-ით საიმედო დაცულობის და ეკიპაჟების სიტუაციური ინფორმირებულობის (მათ შორის უპილოტობით) საგრძნობი გაუმჯობესების აუცილებლობა. შესაბამისად, მცირე რესურსების მქონე ქვეყნისთვის, თავდაცვითი ოპერაციების განხორციელების კონტექსტში, სატანკო - მექანიზირებული ქვედანაყოფების მთავარ დანიშნულებად ოპერატიული რეზერვი იკვეთება საშიშ მონაკვეთებზე მოწინააღმდეგის გარღვევების აღსაკვეთად.

▶ რადიკალურად გაიზარდა თანამედროვე და ზუსტი სარაკეტო, რეაქტიული და ლულიანი საარტილერიო ცეცხლის მნიშვნელობა, რომელთა მეშვეობით სრულიად შესაძლებელი ხდება წერტილოვანი დარტყმების განხორციელება ოპერატიულ სიღრმეში, მით უფრო საავი-

აცო კომპონენტის არარსებობის ან სისუსტის ფუნზე. აღნიშნული კიდევ ერთხელ ხაზს ასვამს ზუსტი და დროული (რეალურ დროში) ოპერატიული დაზვერვის მეტად დიდ მნიშვნელობას.

რუსეთის აგრესია უკრაინის წინააღმდეგ

- ▶ ქვეყნის სიდიდე და ოპერატიული სიღრმე მნიშვნელოვანია ისევე, როგორც განვითარებული სამხედრო მრეწველობა. განსაკუთრებით გამოიკვეთა უწყვეტი გარე სამხედრო დახმარების გადამწყვეტი როლი ხანგრძლივ პერიოდში საბრძოლო მოქმედებების სანარმოებლად. ომი, მათ შორის, არის რესურსების ომიც და შესაბამისად რესურსებით გარანტირებული მომარაგება გადამწყვეტი როლს თამაშობს საომარ მოქმედებებში.
- ▶ არტილერიისა და სარაკეტო სისტემების მასობრივი გამოყენება და მზარდი სიზუსტე დროის მოკლე მონაკვეთში, მარვთისა და საცეცხლე მხარდაჭერის თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, დიდ ეფექტს ახდენს ბრძოლის ველზე. დრონების მეშვეობით საბრძოლო ვითარების ცოდნაში მიღწეული უპირატესობა შესაძლებელს ხდის განხორციელდეს უფრო ნაკლები, მაგრამ უფრო ზუსტი და ეფექტური საცეცხლე დარტყმები, რაც აკომპენსირებს საარტილერიო მარაგების სიმწირეს.

▶ სამხედრო ინფრასტრუქტურის და ლოგისტიკის (მომარაგების ხაზების და მარაგების, საწყობების) დისპერსია და დეცენტრალიზაცია აუცილებელი გასათვალისწინებელი ფაქტორი გახდა ხანგრძლივი საბრძოლო მოქმედებების სანარმოებლად.

▶ კიდევ ერთხელ გამოიკვეთა უწყვეტი კავშირისა და კომუნიკაციის სისტემების (მაგ. STARLINK) არსებობის კრიტიკული მნიშვნელობა მონინალმდეგის „რებ“-ის მოქმედების ფონზე, რომელიც ნაწილობრივ ახერხებს GPS-სიგნალის ჩახშობას (მართვადი საარტილერიო-სარაკეტო დარტყმების გასაწეიტრალეებლად).

▶ გეოგრაფია & ლანდშაფტი კვლავინდებურად დიდ როლს თამაშობს შესაბამისი სახის/ტიპის სამხედრო მოქმედებების სანარმოებლად და ამავე დროს ქალაქები ისევ წარმოადგენს ძირითადი წინააღმდეგობის ცენტრებს, საბრძოლო ოპერაციების ფართო სპექტრის ჩასატარებლად (ურბანული, ჰსთ, საარტილერიო, სპეც. ოპერაციები და აშ.).

▶ განვითარებული ჰსთ-ს სისტემის შემთხვევაში რადიკალურად მცირდება მონინალმდეგის ავიაციის გამოყენება, თუმცა მარაგების რაოდენობა გადამწყვეტია ამის შესანარჩუნებლად.

▶ რუსეთი რთულად ახორციელებს კომბინირებულ და

გაერთიანებულ ოპერაციებს და რუსული საბჭოთა სამხედრო მართვის კულტურისა და სხვა ფაქტორების გამო ვერ ახერხებს ამოცანაზე მორგებული საბატალიონო ტაქტიკური ჯგუფების ეფექტურ გამოყენებას. შედეგად, რუსული ქვედანაყოფები იღებენ დიდ დანაკარგებს, თუმცა რუსეთი მზადაა აღნიშნული დანაკარგები შეავსოს ჯარისკაცთა მასით და გააგრძელოს ამ მიდგომით მოქმედება.

▶ სანაპირო დაცვის არსებობის შემთხვევაში, რუსეთი ვერ ახერხებს საზღვაო სადესანტო ოპერაციების ჩატარებას, თუმცა შეუძლია საზღვაო ბლოკადის განხორციელება და მეგობრული საზღვაო ძალების არშემოშვება. ამავე დროს გამოიკვეთა საპორტო ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების მაღალი დონის უზრუნველყოფის მნიშვნელობა, დივერსიული ჯგუფების ზღვიდან შემოღწევის აღსაკვეთად.

▶ მებრძოლისა და სამოგადოების მორალურ-ფსიქოლოგიური განწყობა (პატრიოტული, საბრძოლო სულისკვეთება) კრიტიკულად მნიშვნელოვანია, უპირატესობის მქონე და დიდ დანაკარგებზე წამსვლელ მონინალმდეგესთან ხანგრძლივი ბრძოლის პირობებში.

შემაჯამებელი დასკვნები:

▶ მნიშვნელოვანია ჯარის როგორც თანამედროვე (განს. ინდივიდუალური) ტექნიკური აღჭურვილობა, განვრთნა

- და შესაბამისი ფორმატი (პროფესიონალური), ასევე საბრძოლო ამოცანების შესასრულებლად საჭირო რაოდენობა.
- ▶ აუცილებელია უპილოტო სისტემების ფართო და სწრაფი დანერგვა თავდაცვის ძალების ყველა დონეზე (ოპერატიული და ტაქტიკური) და სფეროში (დაზვერვა, კავშირი, საცეცხლე კორექტირება და ა.შ.), ისევე როგორც უპილოტოებთან ბრძოლის უნარისა და საშუალებების განვითარება.
 - ▶ მნიშვნელოვანია, როგორც საცეცხლე მხარდაჭერის საშუალებების საბრძოლო გამოყენების, ისევე ლოგისტიკური მომარაგებისა და მარაგების დეცენტრალიზაცია.
 - ▶ თავდაცვითი ბრძოლების ეფექტურად წარმოებისთვის კვლავინდებურად დიდ როლს ასრულებს საერთო გეგმაში განსაზღვრული, კარგად და ვითარებისთვის ადეკვატურად მოწყობილი საფორტიფიკაციო ნაგებობები.
 - ▶ ურბანული ანუ დასახლებული (ქალაქური) პუნქტი ერთგვარ ბუნებრივ ფორტიფიკაციას წარმოადგენს და წინააღმდეგობის ყველაზე ეფექტურ სივრცედ რჩება.
 - ▶ (ზუსტი) სარაკეტო და საარტილერიო სისტემების როლი კიდევ უფრო გაიზარდა ავიაციის უქონლობის ან გამოუყენებლობის პირობებში.
 - ▶ გაცილებით გაიზარდა როგორც შენიღბვის საშუალებების ისე ღამის ხედვის მოწყობილობების როლი შესაბამის გარემოში ბრძოლის ეფექტურად წარმოებისთვის.
 - ▶ შესაბამისი ფინანსური რესურსის ჩადება მოდერნიზაციაში და ტექნიკური ინოვაციების ფართო დანერგვა დაზვერვის, საცეცხლე მხარდაჭერის და მართვისა და კონტროლის (C3I) სფეროებში განსაკუთრებით გადამწყვეტია საბრძოლო წარმატებისთვის.

თავი III

ოკონომიკური ხედვა და საჭირო
საბრძოლო შესაძლებლობები



ოპერატიული ხელვა და საჭირო საბრძოლო შესაძლებლობები

დოკუმენტის ამ ნაწილში ძირითადი აქცენტი გაკეთებულია მთავარი სამხედრო საფრთხის განხორციელების გააზრებაზე, რუსული ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესიის განვითარების გზებზე, მტრის სამხედრო დაჯგუფების ძირითად ოპერატიულ ამოცანებზე, გამოყენებულ ქვედანაყოფებსა და შეიარაღებაზე. აღნიშნული, ანუ ოპერატიული სურათის და მისი მახასიათებლების დეტალური გააზრება პრინციპულად მნიშვნელოვანია საქართველოს შეიარაღებული ძალებისთვის საპასუხო ამოცანების განსასაზღვრად და, შესაბამისად, არსებული თუ საჭირო (შესაძენი) საბრძოლო შესაძლებლობების და, საბოლოო ჯამში, ზოგადად შეიარაღებული ძალების რაოდენობის, სტრუქტურისა და ტრანსფორმაციისთვის საჭირო მატერიალურ-ფინანსური რესურსების დასადგენად. ბუნებრივია, წინამდებარე თავში წარმოდგენილი იქნება დეტალური განხილვების მხოლოდ შეჯამებული ვერსია ძირითადი დასკვნების სახით.

ოპერატიული ხელვა

▶ ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესიის განხორციელება თავისი შინაარსით გულისხმობს საქართველოს პოლიტიკური კურსის, რეჟიმისა (ხელმძღვანელობისა და სტრუქტურის) და მთლიანად

პოლიტიკური სისტემის ცვლილებას, რუსული იმპერიული სივრცის აღდგენისა და რეგიონში დასავლეთის გავლენის საბოლოოდ აღკვეთის მიზნით.

▶ აღნიშნული მიზნისთვის, საქართველოს გეოგრაფიული სივრცის თავისებურებების გათვალისწინებით, გამოყოფილი იქნება 100 (+) ათასიანი დაჯგუფება, რომელშიც შევა როგორც პირველი ეშელონის საბრძოლო ქვედანაყოფები ისე დამხმარე და სხვა ტიპის, მათ შორის მომარაგებისა და ტექნიკური უზრუნველყოფის ქვედანაყოფები.

▶ საბრძოლო მოქმედებები წარმართება როგორც ხმელეთზე, ასევე სანაპირო ზოლზე და საჰაერო სივრცეში. რუსული სამხედრო დაჯგუფების ძირითადი ოპერატიული ამოცანები იქნება დედაქალაქ თბილისის სწრაფი იზოლირება/ბლოკირება, სანაპირო ზოლისა და საპორტო ქალაქების სწრაფი დაკავება, საზღვაო მიმოსვლისა და სივრცის ჩაკეტვა, თურქეთთან და აზერბაიჯანთან სასაზღვრო მონაკვეთების სწრაფი გაკონტროლება, სომხეთთან სატრანსპორტო კორიდორის გაჭრა და ძირითადი სატრანსპორტო-საკომუნიკაციო პუნქტების,

ისევე როგორც კრიტიკული ინფრასტრუქტურის გაკონტროლება.

▶ მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი შეეცდება სამხედრო ოპერაციის (აგრესიის) მაქსიმალურად სწრაფად დასრულებას, საკუთრივ აგრესიის დაწყების პოლიტიკური გადაწყვეტილება ნიშნავს იმას, რომ კრემლი მზად იქნება საკმარისი დრო დაუთმოს ოპერაციის დასრულებას და მისი აქტიური ფაზისთვის (მაღალი ინტენსივობის საომარი მოქმედებები) 6 თვემდე დრო გამოყოფს.

▶ რუსული მხარე აქტიურად გამოიყენებს როგორც საზღვაო დესანტს (2000 კაცამდე) საპორტო ინფრასტრუქტურის ხელში ჩასაგდებად, ასევე მრავალრიცხოვან აერომობილურ ტაქტიკურ ჯგუფებს (ვერტმფრენებით) მთელი ქვეყნის მასშტაბით მნიშვნელოვანი ობიექტების და სატრანსპორტო კვანძების (აეროპორტი, სასაზღვრო პუნქტები, საგზაო მონაკვეთი, რაიონული ცენტრი, ენერგობიექტი და ა.შ.) ბლოკირებისა და ზოგადი ქაოსის შექმნის მიზნით.

▶ უკრაინაში საბრძოლო მოქმედებებისგან განსხვავებით შეუდარებლად ინტენსიუ-

რად და მასობრივად მოხდება რუსული ავიაციის გამოყენება საქართველოს ტერიტორიის სიმცირისა და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის (ჰსთ) მნიშვნელოვანი სისუსტის გამო. შესაბამისად, მოსალოდნელია, რომ პირველადი დიდი დანაკარგების მიუხედავად რუსული ავიაცია იმოქმედებს ქართული ჰსთ-ს სრულ განადგურებამდე და შემდეგ შეუფერხებლად გააგრძელებს სამიზნე და სამოქალაქო ობიექტების განადგურებას მთელი ქვეყნის მასშტაბით.

რუსული სახმელეთო ქვედანაყოფების ძირითადი დამრტყმელი ძალა ტრადიციულად იქნება ჯავშანტექნიკის (500-მდე ტანკი 2500+ ჯავშანტექნიკა) და არტილერიის დიდი რაოდენობით კონცენტრირებული გამოყენება ქართული ქვედანაყოფების წინააღმდეგ, ისევე როგორც ფრთოსანი და ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტების მასობრივი გამოყენება სამხედრო, სამთავრობო და კრიტიკული ინფრასტრუქტურის გასანადგურებლად. მთავორიანი რელიეფის მქონე რაიონების დასაკავებლად დასავლეთ და აღმ. საქართველოში მოხდება რუსული სამთო საბრძოლო ბრიგადების გამოყენება.

თავდაცვის ძალების საბრძოლო შესაძლებლობები და თქვენი თვითღირსეულობის ასევე...

სამხედრო ამოცანების შესრულებისას საქართველოს თავდაცვის ძალებისთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ხარისხობ-

რივი ასპექტი, რომლის ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია თანამედროვე/ინოვაციური სამხედრო ტექნოლოგიების და მათი გამოყენების მაღალი ხარისხი. ცოცხალი ძალის დიდი რაოდენობა თუნდაც ის უზრუნველყოფილი იყოს სათანადო რაოდენობის სამხედრო ტექნიკით, თანამედროვე მაღალი ტექნოლოგიური სტანდარტის ინტეგრირების გარეშე არ გადავა საბრძოლო ხარისხში და როგორც თანამედროვე რეალობამ არაერთხელ აჩვენა, ფატალური შედეგითაც შეიძლება დასრულდეს. გამომდინარე იქიდან, რომ პოტენციური მოწინააღმდეგეები არ დგანან ერთ ადგილზე და მუდმივად ცდილობენ ახალი ტექნოლოგიების დანერგვას, საქართველოს ამოცანა ასევე იქნება, რომ არ ჩამორჩეს ამ ტექნოლოგიურ შეჯიბრში და სიიარაღისა და ეფექტურობის (Cost/Effectiveness) ფაქტორების შერწყმით მოახდინოს სამხედრო შესაძლებლობების დამატებით ტექნოლოგიური განვითარება და ლეიტალობის მულტიპლიკაცია. წინამდებარე თავი წარმოადგენს სამხედრო ინოვაციური ტექნოლოგიების ზოგად შეფასებას და, საქართველოს სამხედრო-ოპერატიული გარემოს თავისებურებების გათვალისწინებით, კონკრეტულ სფეროებში თანამედროვე ტექნოლოგიების ინტენსიური დანერგვა/გამოყენების აუცილებლობის ხაზგასმას.

მართვა და კონტროლი (C2)

ბრძოლის ველის გაციფრულებამ მნიშვნელოვნად შეამცირა სადაზვერვო მასალის მიღების, მისი დამუშავების, ანალიზის, შესაბამისი გადაწყვეტილების

მიღებისა და ამ გადაწყვეტილების განხორციელების დრო. ის რასაც ადრე თვეები, დღეები ან, უკეთეს შემთხვევაში, საათები ჭირდებოდა, ახლა წუთებსა და წამებში ხორციელდება. მყისიერად ხდება რეაგირება მანევრზე, ცეცხლის გახსნაზე, ახალი პოზიციების მოწყობა თუ მომარაგებაზე. შესაბამისად მართვისა და კონტროლის სისტემის ერთი დაცული ქსელის მოწყობა, რომელიც მუდმივად, რეალურ დროში ივსება საჭირო ინფორმაციით, და რომელზეც შესაბამის დონეზე წვდომა აქვთ ქვედანაყოფებს, წარმოშობს სრულ უპირატესობას ბრძოლის ველის სურათის ფლობაში. ეს უპირატესობა კი იძლევა სასურველ დროსა და მონაკვეთზე კომბინირებული და გაერთიანებული ოპერაციების წარმატებით ჩატარების შესაძლებლობას. იდეალურ ვარიანტში უნდა მოხდეს ათეული-ოცეულისასეულის დონიდან ბატალიონ-ბრიგადა-საარმიო კორპუსის დონემდე ინტეგრაცია ერთიან ქსელში. ცხადია ქვედანაყოფებს შორის უწყვეტი და დაცული საკომუნიკაციო სისტემის არსებობა ამ ქსელის ერთ-ერთი მთავარი ფუნდამენტია. ამავე დროს, ხაზი უნდა გაესვას თანამედროვე ტექნოლოგიების აქტიურ გამოყენებას, რომლებიც უზრუნველყოფენ სწორედ აღნიშნული ქსელის სრული დაცულობის გარანტიას და რადიო-ელექტრონული ბრძოლის წარმატებით განხორციელებას.

სადაზვერვო თვითღირსეულობები

ოპერატიული მიზნებისთვის დამკვერვის ტექნიკური საშუალებები, განსაკუთრებით ბოლო ათწლე-

ულებში, განვითარდა და თუ არ ჩავთვლით კოსმოსურ/სატელიტურ ტექნოლოგიებს, სწორედ მათ იაფ და ხელმისაწვდომ ალტერნატივად იქცნენ უპილოტო დრონები. ბევრი პარამეტრით (გამოყენების მოქნილობა, ამინდზე ნაკლები დამოკიდებულება, ოპერატიულობა, მრავალრიცხოვნობა, სიაფე და ხელმისაწვდომობა) მათი შესაძლებლობები აღემატება კიდევ კოსმოსურ აპარატებს. სადაზვერვო დრონების სრული ინტეგრირება სადაზვერვო სისტემაში თვისებრივად აუმჯობესებს მართვისა და კონტროლის სისტემას, ესე იგი ბრძოლის ველის სურათის უპირატეს და უკეთეს ფლობას. არააკლებ მნიშვნელოვანია მათი როლი სამიზნეების მოპოვებისა და განადგურებისთვის სარაკეტო, საარტილერიო თუ საავიაციო ცეცხლის კორექტირებისას. ხოლო თუ გავითვალისწინებთ საქართველოს გეოგრაფულ გარემოს და ქართული ჯარისთვის ბრძოლის სურათის უპირატესი ფლობის აუცილებლობას, ქვედანაყოფების აღჭურვა ყველა დონეზე უპილოტო საშუალებებით სადაზვერვო ინფორმაციის სრული და განუწყვეტელი მოპოვებისთვის, ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს.

საცემხლე მხარდაჭერა (ლულიანი და ზალკური არტილერია)

ოპერატიულ სიღრმეში ზუსტი და სწრაფი დარტყმების განხორციელებისთვის პრინციპულად მნიშვნელოვანია ზუსტი ამუნიციის და დამიზნების უახლესი ტექნოლოგიური მიღწევების გამოყენება. ამასთან ერთად მოწინააღმდეგის ძირითადი

საცეცხლე მხარდაჭერის გასანეიტრალებლად ქართულ ქვედანაყოფებს უნდა გააჩნდეთ რადარები და სტაციონარული და მოძრავი სამეთვალყურეო პუნქტები (ოპტიკური და რადარული სისტემებით) კონტრბატარული ცეცხლისთვის, მათ შორის დისტანციურად მართვადი. განსაკუთრებით გაიზარდა და კრიტიკულად მნიშვნელოვანია საქართველოს თავდაცვის ძალებისთვის განსაკუთრებით ტაქტიკურ და ოპერატიულ დონეზე დამრტყმელი დრონების ინტენსიური გამოყენება. სარაკეტო სისტემების სიძვირისა, მონყვლადობისა და შევსების სირთულის გამო, დრონები, საქართველოს შემთხვევაში, მათ ფუნქციასაც იძენენ, და განსაკუთრებით ტაქტიკურ დონეზე (და შემდეგ ოპერატიულ სიღრმეში) ბრძოლის ველზე მოწინააღმდეგეზე საცეცხლე უპირატესობის მოპოვების შანსს იძლევა, რომელიც უპირობოდ უნდა იქნას გამოყენებული.

საჰაერო თავდაცვის ტენოლოგიური ფაქტორი

სწორედ საქართველოს საბრძოლო თეატრის გეოგრაფიული შემზღუდულობისა და თავისებურებების გათვალისწინებით, შესაძლებელი ხდება, შედარებით იაფი ტექნოლოგიების გამოყენებით (მაგ. მართვადი მოდულები), გაცილებით ეფექტური საჰაერო თავდაცვის სისტემის (რაიონების თუ ზონების) მოწყობა განსაკუთრებით პილოტირებადი და უპილოტო საფრენი აპარატების წინააღმდეგ. ასევე უნდა იქნას გამოყენებული ბოლო ტექნოლოგიური მიღწევები სტრატეგიული გრავიტაციის ცენ-

ტრის, საკომანდო პუნქტების, სამანევრო ქვედანაყოფებისა და კრიტიკული ინფრასტრუქტურის საჰაერო თავდაცვის გასაუმჯობესებლად. აღნიშნული არ გამორიცხავს უკვე არსებული ან მოძველებული სისტემების ტექნოლოგიურ განახლებას.

ჯავშანიანი, პირდაპირი ცემხლე და მობილობა

სატანკო ქვედანაყოფების როლი ბრძოლის ველზე საქართველოში წარმოდგენილი იქნება როგორც მექანიზირებული ძალების ოპერატიული რეზერვი კონტრშეტევების დროს პირდაპირი საცეცხლე ძალის გასამრდელად. შესაბამისად, გაცილებით იზრდება სატანკო პარკის ხარისხობრივი ასპექტი. აღნიშნული გულისხმობს, პირველ რიგში, მის დასავლურ წარმომავლობას, ისევე როგორც მისი დაცულობის საგრძნობ გაუმჯობესებას ტანკსაწინააღმდეგო და უპილოტო საფრენი აპარატებით შეტევების დროს (ანუ ზედა ნახევარსფეროდან). როგორც სატანკო, ასევე სხვა ტიპის ჯავშანტენიკის სრული ინტეგრირება ერთიან საბრძოლო ქსელში გაცილებით მრდის მისი კოორდინაციის, გამოყენებისა და ლეტალურობის ხარისხს.

უნდა აღინიშნოს რომ საქართველოს გეოგრაფიული ლანდშაფტი მთელ რიგ ადგილებში იძლევა დისტანციური მართვის ტექნოლოგიის (მოდულების) გამოყენების შესაძლებლობას კონკრეტულ სექტორებში (გამაგრებულ პუნქტებში თუ რაიონებში) პირდაპირი ცეც-

ხლის სანარმოებლად, რაც ერთი მხრივ, ზრდის უწყვეტი საცეცხლე ზემოქმედების ქვეშ მონინაალმდეგის მოქცევას, ხოლო მეორე მხრივ, მნიშვნელოვნად ზოგავს საკუთარ ადამიანურ რესურსს. განსაკუთრებით ტაქტიკურ დონეზე ყველა, მათ შორის, სადაზვერვო ქვედანაყოფს უნდა ჰქონდეს ღამით მოქმედების და ბრძოლის (ცეცხლის) წარმოების ეფექტური საშუალებები. თბოვიზორებისა და სხვა საჭირო ტექნიკური აღჭრვილობით ქართული ქვედანაყოფების გაჭერება წარმოადგენს საბრძოლო უპირატესობის მოპოვების ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორს.

არანაკლებ მნიშვნელოვანია მინიმალური ტექნოლოგიური რესურსის გამოყენებით ქვედანაყოფების დაცული მობილურობის სწრაფი უზრუნველყოფა, რაც ერთი მხრივ, საარტილერიო ცეცხლის ქვეშ ქვედანაყოფების მონყვლადობას ამცირებს, ხოლო მეორე მხრივ, ზრდის მანევრის წარმატებული განხორციელების შანსს.

პასიური შენიღბვის და საინჟინრო ტექნოლოგიები

თანამედროვე ტექნოლოგიები და, განსაკუთრებით, უპილოტოების თუ სპექტრალური რადარების მასობრივი გამოყენება განსაკუთრებით ზრდის შენიღბვის ამოცანის მიმართ (მათ შორის სითბურ სპექტრში) მოთხოვნებს. შესაბამისად, ნებისმიერი საბრძოლო პოზიცია, გამაგრებული პუნქტი თუ უფრო მასშტაბური სისტემა გამაგრებული პოზიციებისა უნდა პასუხობდეს საინჟინრო თვალსაზრისით შენიღბვის თანამედროვე და თვისებრივად გაზრდილ

ამ მოთხოვნებს. ამავე დროს თავდაცვითი პოზიციების სწორი და გააზრებული საინჟინრო მოწყობა ერთიორად ზრდის ქვედანაყოფის ბრძოლისა და წინააღმდეგობის განწევის უნარს, მონინაალმდეგის მხრიდან რიცხოზრვი, შეიარაღების ან თუნდაც ზუსტი ამუნიციის კუთხით უპირატესობის არსებობის მიუხედავად.

თექნოლოგიები მომარაგება და სამედიცინო სფერო

თითოეული ჯარისკაცის სიცოცხლე და ჯანმრთელობა პრიორიტეტია და შესაბამისად, მაქსიმუმი უნდა გაკეთდეს ბრძოლის ველზე ჯარისკაცის სიცოცხლის გადასარჩენად. მორალურ-ეთიკური მოსაზრებების გარდა, ეს პრაგმატული თვალსაზრისითაც მეტად მნიშვნელოვანია, რადგან მაღალ საბრძოლო სულისკვეთებას განაპირობებს. ახალი (მაგ. ნანო) ტექნოლოგიების გამოყენება და როგორც ინდივიდუალურ ასევე ქვედანაყოფის დონეზე უახლესი საველე ტექნოლოგიების დანერგვა აუცილებელია. ამასთან ერთად კვლავაც აქტუალურია დაჭრილების სწრაფი ევაკუაცია, რისთვისაც საჭიროა შესაბამისი სახმელეთო (Armored Medical Evacuation Vehicle) და საჰაერო ტექნიკა (Medevac Helicopters), რობოტიზებული სისტემები UGV (Unmanned Ground Vehicles), ისევე როგორც სპეციალური დრონები, რომელთა მეშვეობით ხდება დაჭრილების სწრაფი მომარაგება პირველადი გადარჩენის საშუალებებით და მძიმედ დაჭრილთა სასწრაფო ევაკუაცია. ბუნებრივია, საჭიროა გამაგრებული რაიონებში

და პუნქტებთან (თავდაცვის კერები) ახლოს სტაციონარების განთავსება და ამ სტაციონარების თანამდროვე ტექნიკით აღჭურვა. პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს დრონების ინტეგრირება სამხედრო ლოგისტიკა-მომარაგების სისტემაში.

ინდივიდუალური აღჭრვილობა


მონინაალმდეგის რაოდენობრივი ფაქტორის გათვალისწინებით, თავდაცვის ძალების ნებისმიერი წარმომადგენლის ინდივიდუალური აღჭურვა, ყველა კომპონენტში თვისებრივად უნდა ჯობდეს და საგრძობლად უნდა აღემატებოდეს პოტენციური მონინაალმდეგის ინდივიდუალურ ეკვიპრება/აღჭრვილობას.

ერთვნილი სამხედრო მრეწველობის ფაქტორი

მსხვილი სამრეწველო ცენტრების აპრიორი განადგურების დიდი შანსის გამო, ლოგიკურად უნდა განიხილებოდეს დეცენტრალიზებული სამრეწველო ლოკალური პუნქტების არსებობა, სადაც მოხდება, არსებული მარაგების საფუძველზე, სამხედრო ტექნიკის რემონტი და შეზღუდულ ფარგლებში, მაგრამ მაინც მარტივი ტექნოლოგიების გამოყენებით ბაზისური ტყვიანაღლისა და სხვა ამუნიციის წარმოება.

თავი IV

ძალთა სტრუქტურა, მართვა და
თავდაცვის შესაძლებლობები



ძალთა სტრუქტურა, მართვა და თავდაცვის შესაძლებლობები

თავდაცვის ძალებისთვის ოპერატიული ამოცანების მკაფიო განსაზღვრა და სრულყოფილად გააზრება არის ძირითადი და აუცილებელი წინაპირობა თავდაცვის ძალების ქვედანაყოფებისთვის საჭირო საბრძოლო შესაძლებლობების და, შესაბამისად, ძალთა სტრუქტურის, ქვედანაყოფების ტიპის, რაოდენობის, და ზოგადად მართვის სისტემის დასადგენად. დოკუმენტის ამ ნაწილში განხილული იქნება ძალთა სტრუქტურის (შესაძლებლობების) ორი - მაქსიმალისტური და რეალისტური მოდელები, რომელთა შორის


სხვაობა გამოხატავს განსხვავებას ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხარისხს შორის, რაც შესაბამისი (პირველ რიგში პოლიტიკური) დასკვნების საშუალებას იძლევა.

მაქსიმალისტური მიდგომა - ძალთა სტრუქტურა და ფინანსური რესურსები

მაქსიმალისტური / ოპტიმისტური მიდგომა, რომელიც იმისდა მიუხედავად თუ დღეისათვის რა რესურსობრივ-ფინანსური შეზღუდვები არსებობს ქვეყანაში, წარმოგვიდგენს ძალთა საბ-

რძოლო შესაძლებლობების, სტრუქტურისა და მართვის ყველაზე ოპტიმისტურ სურათს. აღნიშნული სტრუქტურა ასახავს დღეისათვის არსებული სამხედრო საფრთხეების სრული განეიტრალებისთვის და სტრატეგიულ-ოპერატიული ამოცანების სრული და უპირობო შესრულებისთვის (მინიმუმ 6 თვიდან - ერთი წლის პერიოდში) საქართველოს თავდაცვის ძალების საუკეთესო შემადგენლობას, შესაბამისი საბრძოლო შესაძლებლობების, მართვის სისტემისა და გეოგრაფიული განაწილების მიხედვით (იხ. სურათი ქვემოთ).

საქართველოს თავდაცვის ძალების მაქსიმალისტური/ოპტიმისტური სტრუქტურა 2034



აქვე კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ მაქსიმალისტური მიდგომის შეფასება და დეტალური გააზრება საშუალებას მოგვცემს დაგინახოთ ძალთა ამ მოდელისთვის საჭირო ფინანსური რესურსების მოცულობა, უზარმაზარი სხვაობა დღევანდელ რეალობასთან (ესეიგი დაუცველობა!) და სავარაუდო ოპტიმალური (კომპრომისული, იგივე რეალისტური) გზები იმისთვის, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში (5-10 წელი) მოხდეს თავდაცვის ძალების სწრაფი განვითარება და დაახლოვება ოპტიმისტურ მოდელთან. ამასთან ერთად, უნდა ითქვას, რომ სამხედრო საზღვაო ძალების როლთან, სტრუქტურასთან და შესაძლებლობებთან დაკავშირებით არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. თუმცა ასევე ნათელია, რომ საზღვაო ძალები ვერასდროს

შეასრულებენ ისეთივე და იმ მოცულობით ამოცანებს, როგორც ამას თუნდაც შავი ზღვის დიდი სახელმწიფოების სამხედრო ფლოტი ასრულებს. შესაბამისად, ჩვენ მიერ წარდგენილ სტრუქტურაში, მხოლოდ სანაპიროს დაცვის ამოცანაზე გამახვილდა ყურადღება, რაც, ბუნებრივია, მომავალში სულაც არ გამორიცხავს სამხედრო ფლოტის შესაძლებლობების საგრძნობ გაზრდას.

მაქსიმალისტურ/ოპტიმისტურ სტრუქტურაში თავდაცვის ძალების საერთო რაოდენობა დაახლოებით 104 ათას ადამიანს მოიცავს, და მისი უდიდესი ნაწილი პროფესიულ სამხედრო მოსამსახურეთა კორპუსს ეყრდნობა თანამედროვე ომის მალალტექნოლოგიური ტენდენციების გამო (იხილეთ ცხრილი ქვემოთ).

სტრუქტურაში ასევე შესულია კადრირებული ქვედანაყოფებიც (ძირითადად ქვეითი და მექანიზებული), თუმცა, ზოგადად ოპერატიული მართვის სტრუქტურა ეყრდნობა საარმიო კორპუსების ზომის დაჯგუფებების შექმნას ქვეყნის დასავლეთსა და აღმოსავლეთში (სამხრეთის ჩათვლით) და მათდამი დივიზიის მსგავსი და მასში შემავალი ქვედანაყოფების (ბრიგადა, ბატალიონი, ასეული) დაქვემდებარებას აღმოსავლეთში (ვაზიანი, გორი, წალკა) და დასავლეთში (ქუთაისი, სენაკი, ბათუმი). სტრუქტურაში წარმოდგენილი ყველა ქვედანაყოფი (მათ შორის ეროვნული გვარდია) ექვემდებარება თავდაცვის ძალების ოპერატიულ სარდლობებს, ხოლო ყველა ბრიგადაში ინტეგრირებულია საკუთარი საცეცხლე მხარდარის,

მაქსიმალისტური/ოპტიმისტური ძალთა სტრუქტურა (3/შ)

#	ქვედანაყოფი	ლოკაცია	3/შ
	თავდაცვის სამინისტრო	თბილისი	300
	გაერთიანებული შტაბი	თბილისი	500
XXX	სახმელეთო ძალები	თბილისი	80,494
XXX	საერთო საჯარისო კორპუსი	ვაზიანი	42,864
XX	მექანიზებული დივიზია	ვაზიანი	14,910
XX	მექანიზებული დივიზია	წალკა	12,790
XX	მექანიზებული დივიზია	გორი	15,044
XXX	საერთო საჯარისო კორპუსი	ქუთაისი	37,630
XX	მექანიზებული დივიზია	ბათუმი	8,880
XX	მექანიზებული დივიზია	ქუთაისი	13,419
XX	მექანიზებული დივიზია	სენაკი	15,211
XX	სამხედრო საჰაერო ძალები	თბილისი	6,282
XX	სამხედრო საზღვაო ძალები	ფოთი	2,913
XX	ეროვნული გვარდია	თბილისი	9,050
X	სპეციალური ოპერაციების ძალები	თბილისი	1,872
X	წვრთნებისა და დოქტრინების სარდლობა	თბილისი	2,867
X	კიბერ-სარდლობა	თბილისი	1,020
		სულ	105,404

უპილოტოების და სამედიცინო ვლემენტი.

ოპტიმისტურ მოდელზე გადასვლის ფინანსური მხარე, ანუ ბიუჯეტის მოცულობა ითვალისწინებს ტრანზიციის 10-წლიან პერიოდს, ეკონომიკის განვითარების საბაზო სცენარსა და ხარჯების განაწილებას შესაბამისი კატეგორიების მიხედვით.⁹ ქვემოთ მოყვანილი ილუსტრაციებიდან ასევე მკაფიოდ ჩანს, რომ ამ პირობებში შესაძლებელია მაქსიმალისტური მოდელის შექმნა თუ 2025 წლიდან

თავდაცვის მაქსიმალისტური ამ პირობებში შესაძლებელია მიზნებისთვის გამოყოფილი ფინანსური ასიგნებები (ბიუჯეტი) საშუალოდ მშპ-ს წლიურ 12%-დან 13%-ს შეადგენს, 2025 წელს 12.5 მილიარდი ლარიდან დაიწყება და 2034 წელს 18.6 მილიარდიანი ნიშნულს მიუახლოვდება. ერთი შეხედვით მოცემული მაჩვენებლები წარმოდგენილად მაღალია, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველო აგრესიის პირობებში იმყოფება, რაც რეალურად ქვეყანას ოკუპაციისა და დაუსრულებელ

საომარ პირობებში აყენებს, და ავალდებულებს ადეკვატური თავდაცვისუნარიანობის მიღწევას და თავდაცვის ხარჯების რადიკალურ გაზრდას. მიუხედავად ამისა, სწორედ ამ მაჩვენებლების გათვალისწინებით, თავდაცვის მიზნებისთვის მშპ-ს 5-7%-ის გამოყოფა წლიურად საკმარის ნორმალური პრაქტიკაა, და ჩვენს შემთხვევაში გამოყენებული იქნება შემდეგ თავში თავდაცვის ძალების სამომავლო რეალისტური მოდელის ხარჯების დასათვლელად.¹⁰

მაკროეკონომიკური მონაცემები (მლრდ. ლარი)												
			წელი1	წელი2	წელი3	წელი4	წელი5	წელი6	წელი7	წელი8	წელი9	წელი10
	2023	2024	2025	2026	2027	2028	2029	2030	2031	2032	2033	2034
თავდაცვის ბიუჯეტი (ოპტიმისტ.)	1.1	1.4	11.7	12.3	12.9	13.5	14.1	14.7	15.3	16.0	16.6	17.6
მშპ (საბაზო სცენარი)	78.1	84.7	91.6	99.0	107.1	113.8	121.0	128.2	135.5	142.7	149.9	157.1
ბიუჯეტის წილი მშპ-სთან მიმართებაში	1.4%	1.6%	12.8%	12.5%	12.1%	11.9%	11.6%	11.4%	11.3%	11.2%	11.1%	11.2%

მაქსიმალისტური/ოპტიმისტური ძალთა სტრუქტურის ბიუჯეტი (მლრდ. ლარი)										
პერსონალის ხარჯი	0.79	0.97	1.15	1.34	1.52	1.70	1.89	2.23	2.44	2.62
ოპერაცია და მხარდაჭერა	3.59	3.94	4.30	4.66	5.02	5.38	5.74	6.10	6.45	7.17
შეიარაღების შესყიდვა	6.49	6.49	6.49	6.49	6.49	6.49	6.49	6.49	6.49	6.49
ინფრ-რა	0.43	0.47	0.52	0.56	0.60	06.5	0.69	0.73	0.77	0.86
კვლევა და განვითარება	0.45	0.45	0.45	0.45	0.45	0.45	0.45	0.45	0.45	0.45
	11.74	12.33	12.91	13.50	14.08	14.67	15.25	16.00	16.61	17.59
შეიარაღის შესყიდვების ჯამური ღირებულება: 64.9 მლრდ. ლარი										
10 წლის თავდაცვის ბიუჯეტის ხარჯის ჯამი: 144.7 მლრდ. ლარი										

⁹ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, "თავი 6: საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები," in "საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი, 2022, <https://mof.ge/5603>.

¹⁰ James E

რეალისტური მიდგომა - ძალთა სტრუქტურა და ფინანსური რესურსები


წინამდებარე თავში წარმოდგენილი ძალთა სტრუქტურა წარმოადგენს გონივრული კომპრომისია ფინანსურ შესაძლებლობებსა და მინიმალურად აუცილებელ თავდაცვის/საბრძოლო პოტენციალს შორის, რომელმაც პირველ რიგში უნდა უზრუნველყოს აგრესიის შეკავება და ომის თავიდან ვერ აცილების შემთხვევაში ქვეყნის ეფექტური თავდაცვა და სუვერენიტეტის შენარჩუნება ამჟამად კონტროლირებად ტერიტორიებზე. აღნიშნული პოტენციალი არაა გათვლილი დე ფაქტო ოკუპირებული ტერიტორიების ძალისმიე-

რი განთავისუფლების სცენარზე, თუმცა, სრულიად ითვალისწინებს საჭიროების შემთხვევაში საბრძოლო მოქმედებების გაფართოებას ოკუპირებული ტერიტორიების ჩათვლით.

შემოთავაზებული ძალთა სტრუქტურა არ გულისხმობს რეგულარული ჯარის (მაღალი მზადყოფნის კომპონენტი) რიცხოვნობის დრამატულ ზრდას. აქცენტი გაკეთებულია მის სტრუქტურულ სრულყოფაზე, ოპტიმიზაციაზე და თანამედროვე მაღალეფექტიანი სამხედრო ტექნიკით აღჭურვაზე. ამავე დროს მკვეთრად იზრდება კარგად შეიარაღებული მაღალ დონეზე მომზადებული ორგანიზებული რეზერვის მოცულობა.

ოპერატიული ამოცანებიდან გამომდინარე რეგულარული ჯარის რიცხოვნობა ფინანსური შეზღუდვების გათვალისწინებით მინიმალურია თუმცა გათვლილია სწრაფ რეაგირება-გაშლაზე (კადრირებულთა ჩათვლით). მისი პოტენციალი ისეა გათვლილი, რომ მოწინააღმდეგე შეაკავოს იმდენ ხანს, რამდენიც საკმარისია ორგანიზებული რეზერვის (ეროვნული გვარდიის და ტერიტორიული თავდაცვის ქვედანაყოფების) მობილიზაციისთვის და საგარეო დახმარების მიღების უზრუნველყოფისთვის (იხ. ქვემოთ).

თავდაცვის ძალების ოპერატიული მართვის სტრუქტურა აგებულია დივიზიური მართვის მოდელზე ქვეყნის დასავლეთში და აღ-



მოსავლეთში. ეს შენაერთები წარმოადგენენ მაქსიმალურად თვითკმარ აგრონომიურ ერთეულებს და ოპერატიული ამოცანების შესრულებისთვის ყველა ის ძალა და საშუალება გააჩნიათ რაც აუცილებელია მინიმუმ 6 თვის განმავლობაში ომის წარმოებისთვის. აღნიშნულ მოდელს ახასიათებს ძლიერი (დივიზიის ზომის) სარეზერვო კომპონენტი, ოპტიმალური ზომის საავიაციო ელემენტი, ძლიერი საჰაერო თავდაცვა, და მეტად ეფექტიანი საარტილერიო და სარაკეტო შესაძლებლობები. ამავე დროს, გაძლიერებულია სპეციალური დანიშნულების ძალები, რომელთა მნიშვნელობა მაღალია არა მხოლოდ უშუალოდ საომარი მოქმედებების დროს, არამედ ომის საწყის, ე.წ. ჰიბრიდულ ფაზაშიც, როცა შესაძლებელია აგრესიული გეგმების ჩანასახშივე აღკვეთა და მასშტაბური სამხედრო მოქმედებების დაწყებამდე შე-

საბამისად, ამ სახის ძალების პირადი შემადგენლობის რაოდენობა გაზრდილია 54.700 მდე, თუმცა ობიექტურად ჩამოუვარდება მაქსიმალისტური მოდელის მაჩვენებელს (იხ. ქვემოთ). უნდა აღინიშნოს, რომ ამ პროექტით სარეზერვო ძალების მნიშვნელობა და როლი ქვეყნის თავდაცვაში მნიშვნელოვნადაა გაზრდილი. ისინი პირდაპირ არიან დაქვემდებარებული ოპერატიულ სარდლობებს, ხოლო მათი საშტატო სტრუქტურა, მომზადება და შეიარაღება მაქსიმალურად მორგებულია კონკრეტულ ოპერატიულ ამოცანებზე ტერიტორიული პრინციპის გათვალისწინებით.

რეალისტური მოდელი ფინანსური შეზღუდვების გამო მხოლოდ შეზღუდული სახით ინარჩუნებს საზღვაო და საჰაერო კომპონენტებს. ხოლო 10 წლის პერიოდში ამ მოდელით გათვალისწინებული მოთხოვ-

ნილებების (განსაკუთრებით გადაიარაღების კუთხით) დაკმაყოფილების და მზარდი ფინანსური შესაძლებლობების გაჩენის პირობებში, აუცილებელიც გახდება საჰაერო და საზღვაო კომპონენტების სრულფასოვანი თანმიმდევრული აღდგენის დაწყება.

თავდაცვითი ხარჯების ანალიზის ფარგლებში ცალსახად გამოიკვეთა, რომ ქვეყნის ოკუპაციისა და საომარი მოქმედებების ნებისმიერ დროს განახლების პირობებში ადევკატური თავდაცვისუნარიანობის მისაღწევად თავდაცვის მიზნებისთვის ყოველწლიური ხარჯები არ უნდა იყოს მშპ-ს 5-7%-ზე ნაკლები, რაც ნორმალური საერთაშორისო პრაქტიკაა. შესაბამისად, თავდაცვის ძალების რეალისტური მოდელისთვის გამოყოფილი ასიგნებები 10 წლის განმავლობაში 2025 წელს 5.6 მილიარდი ლარით (2.5 ლ = 1\$) დაიწყება და 2034

რეალისტური ძალთა სტრუქტურა (3/შ)			
#	ქვედანაყოფი	ლოკაცია	3/შ
	თავდაცვის სამინისტრო	თბილისი	300
	გაერთიანებული შტაბი	თბილისი	500
XXX	სახმელეთო ძალები	თბილისი	24,670
XX	მექანიზებული დივიზია		11,640
XX	მექანიზებული დივიზია		13,030
XX	სახმელეთო ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდლობა	თბილისი	3,603
XX	ეროვნული გვარდია	თბილისი	19,964
X	სპეციალური ოპერაციების ძალები/სარდლობა	თბილისი	1,728
X	წვრთნებისა და დოქტრინების სარდლობა	თბილისი	2,867
X	კიბერ-სარდლობა	თბილისი	962
		სულ	54,700

წელს 8.3 მილიარდიან ნიშნულს მიაღწევს (იხ. ქვემოთ), საიდანაც უდიდესი ნაწილი მოდის სამხედრო ტექნიკის და შეიარაღების შესყიდვასა და მათ ექსპლუატაცია-მომსახურებაზე.

საგულისხმოა, რომ შესასყიდი შეიარაღების სისტემების რაოდენობა და მახასიათებლები განისაზღვრა ოპერატიული და საბრძოლო მოთხოვნილებების გათვალისწინებით და შემდეგნაირად განაწილდა (კონკრეტული დეტალები იხილეთ ცხრილში ქვემოთ):

▶ საჰაერო თავდაცვა

6 NASAMS-ის დივიზიონი და 2 შერეული NASAMS + Patriot Pac-3 გაძლიერებული დივიზიონი საჰაერო დაჯგუფებების გაშლის ადგილების, ადმინისტრაციული ცენტრების, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი საკომუნიკაციო ქსელების და კვანძების საკმაოდ საიმედოდ დასაცავად. ცხადია მთელი ქვეყნის მასშტაბით სრული დაცულობის უზრუნველყოფა ვერ მოხდება. სარეზერვო ქვედანაყოფები (ე.წ. უნივერსალური ბატალიონები) ასევე აღიჭურვებიან

საზენიტო ქვემეხებით და ტყვია-მფრქვევებით. რეგულარულ ქვედანაყოფებთან ერთად ისინი აღიჭურვებიან ასევე სტინგერის ტიპის MANPAD საშუალებებით.

▶ ბალკური და ლულიანი არტილერია

HIMARS ტიპის უნივერსალური რზცსდ-ები იძლევა ოპერატიულ და ოპერატიულ-ტაქტიკურ სიღრმეში წერტილოვანი დარტყმების განხორციელების საშუალებას. აღნიშნული შეიარაღების ტიპი საავიაციო კომპონენტის არარ-

მაკროეკონომიკური მონაცემები (მლრდ. ლარი)												
			წელი1	წელი2	წელი3	წელი4	წელი5	წელი6	წელი7	წელი8	წელი9	წელი10
	2023	2024	2025	2026	2027	2028	2029	2030	2031	2032	2033	2034
თავდაცვის ბიუჯეტი (რეალისტური)	1.1	1.4	5.6	5.9	6.1	6.4	6.7	6.9	7.2	7.5	7.8	8.3
მშპ (საბაზო სცენარი)	78.1	84.7	91.6	99.0	107.1	113.8	121.0	128.2	135.5	142.7	149.9	157.1
თავდაცვის ბიუჯეტის წილი მშპ-თან მიმართებაში	1.4%	1.6%	6.1%	5.9%	5.7%	5.6%	5.5%	5.4%	5.3%	5.3%	5.2%	5.3%

რეალისტური სტრუქტურის ბიუჯეტი (მლრდ. ლარი)										
პერსონალის ხარჯი	0.36	0.44	0.53	0.61	0.70	0.78	0.86	1.02	1.11	1.20
ოპერაცია და მხარდაჭერა	1.62	1.78	1.95	2.11	2.27	2.43	2.60	2.76	2.92	3.25
შეიარაღების შესყიდვა	3.21	3.21	3.21	3.21	3.21	3.21	3.21	3.21	3.21	3.21
მშენებლობა	0.19	0.21	0.23	0.25	0.27	0.29	0.31	0.33	0.35	0.39
კვლევა და განვითარება	0.22	0.22	0.22	0.22	0.22	0.22	0.22	0.22	0.22	0.22
	5.61	5.88	6.14	6.41	6.67	6.94	7.20	7.54	7.82	8.27
შეიარაღების შესყიდვების ჯამური ღირებულება: 32.1 მლრდ. ლარი										
10 წლის თავდაცვის ბიუჯეტის ხარჯის ჯამი: 68.5 მლრდ. ლარი										

სებობის ან სისუსტის ფონზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს და საიმედო საჰაერო თავდაცვის საშუალებებთან ერთად იმ ხარჯს წარმოშობს, რომლის არგანვაც არ შეიძლება. ლუღიანი არტილერიისთვის (თვითმავალი და ბუქსირებადი) კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა სროლის მანძილის და სიზუსტის მაჩვენებლების ზრდა. ეს საჭიროა კონტრბატარული ცეცხლის ეფექტური წარმოებისთვის და მოწინააღმდეგის არტილერიის რაოდენობრივი უპირატესობის ნიველირებისთვის. შესაბამისად, რეგულარული ჯარისთვის მობილური FH77BW L5 Archer, ხოლო ეროვნული გვარდიის კადრირებული ბრიგადებისთვის ბუქსირებადი M777 ოპტიმალური არჩევანია.

▶ ჯავშანთექნიკა

ყველა საერთო საჯარისო სამანევრო ქვედანაყოფი გარდაიქმნება მექანიზირებულ ქვედანაყოფად და მათი რაოდენობრივი სიმცირის გამო საცეცხლე შესაძლებლობებით და მანევრის უნარით ისინი, როგორც მინიმუმ, არ უნდა ჩამოუვარდებოდეს (უნდა აღემატებოდეს კიდევ) ანალოგიურს მოწინააღმდეგის მხრიდან. შესაბამისად, ფიზიკურად მოძველებული საბჭოთა ჯავშანთექნიკის ნაცვლად, მოხდება სამამულო წარმოების დიდგორზე გადასვლა, თუმცა, ბრძოლის ველზე მექანიზირებული ქვედანაყოფების მთავარ საცეცხლე ერთეულად განისაზღვრა ამერიკული ქვეითთა საბრძოლო მანქანა ბრედლი. სატანკო ქვედანაყოფები, მათი ოპერატიული

რემერვის როლის გამო, რაც ითვალისწინებს საშიშ მონაკვეთებზე მოწინააღმდეგის გარღვევების აღკვეთას და კონტრშეტევისას მექანიზირებული ქვედანაყოფების პირდაპირ საცეცხლე მხარდაჭერას, საჭიროებს საგრძნობ ხარისხობრივ გაუმჯობესებას და გადასვლას საუკეთესო დასავლურ მოდელებზე (მაგ. აბრამსი).

▶ სანაპირო დაცვა

რეალისტური მოდელისთვის გათვალისწინებული გემსაწინააღმდეგო რაკეტების ორი ბატარეის შექმნას მინიმუმამდე დაყავს მსხვილი საზღვაო დესანტის გადმოსხმის რისკი. თუმცა მსგავსი სისტემების შექმნა ვერ უზრუნველყოფს რუსეთის მხრიდან საზღვაო ბლოკადის გარღვევას.

▶ ინდივიდუალური აღჭურვილობა

აღნიშნულ კომპონენტში აქცენტი კეთდება ჯარის მაქსიმალურ აღჭურვაზე თანამედროვე სამედიცინო, დამის ხედვის საშუალებებით, მიკრო სადაზვერვო და FPV დრონებით, სამთო და ურბანული ბრძოლებისთვის სპეციალური და ინოვაციური საშუალებებით. ძალიან მნიშვნელოვანია გაგრძელდეს თანამედროვე ტანკსაწინააღმდეგო საშუალებებით თავდაცვის ძალების შეარადება. ჯაველინის ტიპის სისტემასთან ერთად აქცენტი კეთდება უფრო მოკლე და შორ მანძილზე მოქმედი ტანკსაწინააღმდეგო სისტემების შექმნაზეც.

▶ მართვა და კონტროლი, ბრძოლის ველის სურათი

გათვალისწინებულია თანამედროვე მართვის და კონტროლის სისტემების, ბრძოლის ველის პროგრამული უზრუნველყოფის, საიმედო კავშირგაბმულობის, რადიოელექტრონული ბრძოლის სისტემების (electronic warfare (EW)) ტაქტიკურ და ოპერატიულ დონეზე მაქსიმალური დანერგვა.

▶ უპილოტო საფრენი აპარატები

ზოგადად ავიაციის კომპონენტის სისუსტის და თანამედროვე ბრძოლის ყველა ეტაპზე წარმოუდგენლად გაზრდილი მნიშვნელობის გამო, განსაკუთრებული აქცენტი კეთდება სადაზვერვო და დამრტყმელი უპილოტო სისტემებით ქვედანაყოფების მაქსიმალურ გაჭერებაზე, როგორც ბაირაქტარის ტიპის, ასევე კამიკაძე დრონების, (loitering munition) და მათი საკმარისი მარაგის შექმნაზე.

▶ საარმიო ავიაცია

ფინანსური შეზღუდვებისა და ოპერატიული ამოცანებიდან გამომდინარე რეალისტური მოდელი არ ითვალისწინებს პილოტირებადი ავიაციის განვითარებას. ამავე დროს, ბრძოლის ველისა და ამოცანების სპეციფიკის გათვალისწინებით, ვერ მოხდება სამხედრო სატრანსპორტო ავიაციაზე უარის თქმა, რის გამოც აქცენტი გაკეთდა ოპტიმალური მოდელების მინიმალურად აუცილებელ რაოდენობაზე. მშვიდობიანობის დროს აღნიშნული

შვეულმფრენების გამოყენება სავსებით შესაძლებელია საძიებო-სამაშველო ოპერაციებისთვისაც. ამგვარად მათი შექმნა აუცილებელი და გამართლებული ხარჯია არა მხოლოდ თავდაცვის ინტერესებიდან გამომდინარე. ამ პროექტის მიხედვით ასევე მინიმალური რაოდენობით ხდება უშუალო/ახლო საცეცხლე მხარდაჭერისთვის საჭირო დამრტყმელი შვეულმფრენების შექმნაც, განსაკუთრებით ჩვენი რელიეფის და არტილერიასთან თუ უპილოტოებთან სინქრო-

ნიზირებული მოქმედების გათვალისწინებით.

საერთო ჯამში თავდაცვის ძალების რეალისტური მოდელი და მისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსები წარმოადგენს იმ აუცილებელ მინიმუმს, რომლის უარყოფის შემთხვევაში საქართველო კარგავს თავდაცვისუნარიანობას და ვერ მოხდება სავარაუდო მტრის სამხედრო აგრესიის როგორც შეკავება (deterrence) ასევე ეფექტური წინააღმდეგობის განწევა, ე.ი.


სტრატეგიული და ოპერატიული ამოცანების შესრულება. ბუნებრივია, მაქსიმალისტურ (ოპტიმისტურ) და რეალისტურ მოდელს შორის უზარმაზარი განსხვავებაა, რაც განზრახ არის ამ დოკუმენტში ნაჩვენები, მათ შორის იმ უდიდესი პოლიტიკური პასუხისმგებლობის გამო, რასაც ქვეყნის არაადეკვატური დაცულობა იწვევს, რაც, თავის მხრივ, ერის, როგორც სახელმწიფოს და პოლიტიკური ერთეულის, ასევე ფიზიკური გადარჩენის საფრთხეს აჩენს.

შვიარადების ძირითადი სისტემების შესყიდვების ხარჯი (რეალისტური მოდელი)

	შვიარადებული ძალების სისტემები	რაოდენობა	საერთო ღირებულება	
ჯავშანტექნიკა	ჯავშანმანქანა (დიდგორი: ყველა მოდიფიკაცია)	436	141,700,000 ლ	5,951,140,000 ლ
	ქვეითი საბრძოლო მანქანა (Bradley M2A3)	336	2,659,440,000 ლ	
	ტანკი (Abrams M1A2)	140	3,150,000,000 ლ	
არტილერია	ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა (HIMARS)	48	456,000,000 ლ	2,007,420,000 ლ
	თვითმავალი საარტილერიო დანადგარი (Archer)	108	1,215,000,000 ლ	
	ბუქსირებადი საარტილერიო დანადგარი (M777)	36	336,420,000 ლ	
საჰაერო თავდაცვა	რადარი (AN/MPQ-64 Sentinel)	6	1,800,000 ლ	9,838,800,000 ლ
	რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა (Patriot)	2	2,000,000,000 ლ	
	რაკეტსაწინააღმდეგო რაკეტა (Patriot)	80	820,000,000 ლ	
	ჰაერსაწინააღმდეგო სისტემა (NASAMS)	18	1,035,000,000 ლ	
	ჰაერსაწინააღმდეგო რაკეტა (AIM-120)	1800	5,400,000,000 ლ	
	საზენიტო ქვემეხი (C-RAM)	12	300,000,000 ლ	
სანაპირო დაცვა	ხომალდსაწინააღმდეგო სარაკეტო სისტემის გამშვები (Harpoon)	18	63,000,000 ლ	333,000,000 ლ
	ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტა (Harpoon)	48	270,000,000 ლ	
დაზვერვა	უპილოტო საფრენი აპარატი (Shadow)	40	30,000,000 ლ	271,300,000 ლ
	უპილოტო საფრენი აპარატი (Bayraktar TB2)	16	200,000,000 ლ	
	უპილოტო საფრენი აპარატი (Harpy)	236	41,300,000 ლ	
საჰაერო მხარდაჭერა	შვეულმფრენი (AH-64E)	8	260,000,000 ლ	2,155,000,000 ლ
	შვეულმფრენი (UH-60M)	18	1,125,000,000 ლ	
	შვეულმფრენი (CH-47)	4	650,000,000 ლ	
	შვეულმფრენი (UH-146 Lakota)	6	120,000,000 ლ	
ძალთა დაცვა	ხელით გადასატანი ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტა (Javelin)	3700	2,220,000,000 ლ	
			22,776,660,000 ლ	

თავი V

თავდაცვის პოლიტიკა როგორც
უსაფრთხოების პოლიტიკის
ნაწილი, ინსტიტუციური მონყობა
და დემოკრატიული კონტროლი



თავდაცვის პოლიტიკა როგორც უსაფრთხოების პოლიტიკის ნაწილი, ინსტიტუციური მონყოლა და დემოკრატიული კონსტრუქტი

თავდაცვა როგორც უსაფრთხოების (უწყებათშორისი) პოლიტიკის ნაწილი

წინამდებარე თავში მიმოხილულია საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონტექსტში თავდაცვის პოლიტიკის ფორმირების და არსებული (სახელმწიფო) ინსტიტუციური მექანიზმების ნაკლოვანებები და შესაძლო გამოსწორების გზები. უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა თავისი არსით უფრო ფართოა, ვიდრე თავდაცვის პოლიტიკა, რადგან იგი მოიცავს შიდა და საგარეო პოლიტიკის საკითხთა ფართო სპექტრს. შესაბამისად გაზრდილია ამ პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში ჩართული უწყებების რაოდენობა, რაც გამართული კოორდინაციისა და მჭიდრო უწყებათშორისი თანამშრომლობისთვის ეფექტური ინსტიტუციური მექანიზმებისა და საკანონმდებლო ჩარჩოს არსებობას მოითხოვს.

ამ მხრივ მნიშვნელოვანი ჩარევა უნდა შეიმჩნევა. წლებია სერიოზული კითხვის ნიშნები

ჩნდება ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს ფუნქციონირების თაობაზე, რომელიც წამყვან როლს უნდა ასრულებდეს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში. სერიოზულ ხარვეზებზე მიუთითებს თუნდაც ის გარემოება, რომ უგულებელყოფილია საბჭოს როლი როგორც კრიზისების პრევენციისა და მართვის დროს, ასევე უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის შემუშავებისა და მონიტორინგის კუთხით. ასე მაგალითად, საქართველოს ბოლო ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია 2011 წლით თარიღდება, ხოლო საქართველოს საფრთხეების შეფასების დოკუმენტი, რომელიც 2015-18 წლების პერიოდს მოიცავდა შემდგომში აღარ განახლებულა. ასეთი მდგომარეობა განპირობებულია ხელისუფლების მხრიდან ინტერესის ნაკლებობით ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვის მიმართ, რაც ბუნებრივია იწვევს თავდაცვის და უსაფრთხოების სფეროში როგორც კარგი პრაქტიკის დანერგვის, ისე გამოცდილების (კულტურის) და საკანონმდებლო ინიციატივებისა (დახვეწის) ნაკლებობას.

ხარვეზებზე საუბრისას, უნდა გამოიყოს, მაგალითისთვის, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს არსებული მოდელი, რომლის მიხედვით საბჭოს მდივანი ე.წ. შეთავსებითი თანამდებობაა.¹¹ ეს მოდელი განსხვავდება მსოფლიოში აპრობირებული მიდგომისგან, რომლის თანახმად საბჭოს მდივანი ცალკე პოლიტიკური თანამდებობაა და წარმოადგენს მიუკერძოებელ პოლიტიკურ ფიგურას უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში. ეს პრინციპი კი ავტომატურად ირღვევა, როდესაც საბჭოს მდივანი სხვა რომელიმე უწყების ხელმძღვანელია.


საქართველოს კანონით ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ უწყებრივ სტრატეგიას უნდა გააჩნდეს დროში განეროლი სამოქმედო გეგმა, რომლითაც კონკრეტული ამოცანების შესასრულებლად განისაზღვრება დრო, საშუალებები და პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები. ბუნებრივია მსგავსი მოთხოვნა ვრცელდება თავდაცვის ძალების განვითარების გეგმებზეც. მიუხედავად ამისა,

¹¹ მოქმედი კანონმდებლობით, მდივნის ფუნქცია, საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, საბჭოს ერთ-ერთ მუდმივ წევრს უკისრება. ამჟამად ამ ფუნქციას საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ასრულებს.

უსაფრთხოების საბჭო უკვე წლებია ვერ ახორციელებს საკუთარ უფლებამოსილებას და ვერც სამოქმედო გეგმების მონიტორინგს ახორციელებს, მათ შორის, შესაბამისი პრაქტიკული მექანიზმის არარსებობის გამო. გარდა ამისა, როგორც ზოგადად უსაფრთხოების ასევე, და, განსაკუთრებით, თავდაცვის პოლიტიკის დაგეგმვა და განხორციელება თავისი არსით გულისხმობს სხვადასხვა დონეზე უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფების საქმიანობას, რომლებიც მუდმივ რეჟიმში ახდენენ ქვეყნის თავდაცვისთვის კრიტიკული სფეროების ანალიზს და მათზე რეაგირებას, შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვით და განხორციელება-მონიტორინგით (მაგ. კრიტიკული ინფრასტრუქტურა, ერთობლივი წვრთნების აუცილებლობა, სტანდარტები და ა.შ.).

უფლებამოსილებისა და პასუხისმგებლობის გადანაწილების თვალსაზრისით კიდევ უფრო რთული და გაუგებარი ხდება ვითარება საომარი მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში, რომლის დროსაც საქართველოს კონსტიტუციისა და მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით იზრდება საქართველოს პრეზიდენტის, როგორც უმაღლესი მთავარსარდლის უფლებამოსილება. თუმცა, სრულიად გაუგებარია თუ როგორ არის გამიჯნული უფლებამოსილებები საქართველოს პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს შორის, საომარი მდგომარეობის გამოცხადების დროს. ასე მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, საომარი მდგომარეობის დროს იქმნება კიდევ ერთი სათათბირო ორგანო – ეროვნული თავდაცვის საბჭო, რომელიც მხოლოდ ხუთი წევრისგან შედგება და რომელსაც

თავმჯდომარეობს საქართველოს პრეზიდენტი.¹² თუმცა, საომარი ვითარების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, ეროვნული თავდაცვის საბჭოს სხდომას საქართველოს პრეზიდენტი ვერ მოიწვევს თუ ამაზე პრემიერ-მინისტრის თანხმობა არ ექნება. გარდა ამისა, სრულიად გაუგებარია თუ რა ფუნქცია უნდა შეასრულოს საომარი მდგომარეობის დროს ეროვნული უსაფრთხოების საბჭომ, რომელიც ეროვნული თავდაცვის საბჭოსგან განსხვავებით არამხოლოდ სათათბირო ორგანოა, არამედ მას მუდმივმოქმედი აპარატი გააჩნია, სადაც წესით სათანადო ცოდნა და გამოცდილება უნდა იყოს დაგროვილი ეროვნული უსაფრთხოების სფეროს მიკუთვნებულ საკითხებზე, მათ შორის, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის თაობაზე (იხ. სურათი ქვემოთ).



¹² თავდაცვის საბჭოს მუდმივი წევრები საქართველოს პრეზიდენტთან ერთად არიან: პრემიერ-მინისტრი, პარლამენტის თავმჯდომარე, თავდაცვის მინისტრი და თავდაცვის ძალების მეთაური.

შესაბამისად, იქმნება მყარი შთაბეჭდილება, რომ საომარი მდგომარეობის დროს პრეზიდენტის უფლებამოსილების გაზრდა და ახალი სათათბირო ორგანოს, ეროვნული თავდაცვის საბჭოს ამოქმედება არა თუ ხელს შეუწყობს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას, არამედ როგორც მინიმუმ შექმნის დამატებით გაუგებრობას და გაართულებს გადაწყვეტილებების მიღების პროცესს. ასეთი მოცემულობა სრულიად მიუღებელია და აუცილებელია მხოლოდ ერთი საკოორდინაციო, სათათბირო და გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს დატოვება (ეროვნული უსაფრთხოების საბჭო) როგორც მშვიდობიანობის დროს სხვადასხვა კრიზისებისა და საგანგებო ვითარების, ასევე საომარი ვითარების დროს კონსოლიდირებული და მაქსიმალურად ეფექტიანი მმართველობის უზრუნველსაყოფად. შესაბამისად, საომარი ვითარების დროს ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს წევრი, ასევე, უნდა გახდეს საქართველოს პრეზიდენტი.

თავდაცვის მინისტრის როლი და საპარლამენტო კონტროლი

წინამდებარე თავში მიმოხილულია ის მექანიზმები, რომლითაც უნდა შეიზღუდოს პოლიტიკურად მოტივირებული გადაწყვეტილებების მიღება თავდაცვის სისტემის შიგნით, გაძლიერდეს მასზე დემოკრატი-

ული კონტროლი და გაიზარდოს თავდაცვის სისტემის ეფექტიანობის ხარისხი. ასეთი მექანიზმები, მათ შორის, მოიცავს გამართულ საკანონმდებლო ბაზას, ეფექტიან საპარლამენტო კონტროლს და ასევე ჩართულობასა და მონიტორინგს სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან.

თავდაცვის უწყება უნდა გახდეს მაქსიმალურად აპოლიტიკური. შესაბამისად, უნდა შეიზღუდოს სისტემის შიგნით ხელისუფლებაში მყოფი კონკრეტული ძალის ვიწრო პოლიტიკური შეხედულებების დომინირების რისკი შიდა საკადრო და ინსტიტუციური რეფორმების თაობაზე გადაწყვეტილებების მიღებისას, ისევე როგორც თავდაცვის პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში. აუცილებელია თავდაცვისა და, ზოგადად, უსაფრთხოების სისტემაზე ეფექტიანი დემოკრატიული კონტროლის მექანიზმების ამოქმედება, მათ შორის, საპარლამენტო რესპუბლიკის პირობებში. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია საპარლამენტო კონტროლის არსებული მექანიზმების დახვეწა და გაძლიერება.

პარლამენტის როლი არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროებში საკანონმდებლო ბაზის ზედპირული დახვეწით. მიზანშეწონილია ისეთი მექანიზმების ამოქმედება, რომლებიც უზრუნველყოფს საკანონმდებ-

ლო ორგანოს წარმომადგენელთა მაქსიმალურ ჩართულობას თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის ფორმირების, თავდაცვის ბიუჯეტის შედგენისა და განკარგვის, სისტემის შიგნით მიმდინარე რეფორმების (საჯარო სამსახურის), კონკრეტული პროგრამების შემუშავებისა და შესრულების მონიტორინგის პროცესში.¹³ ამ თვალსაზრისით უნდა დასრულდეს დღემდე არსებული და ათწლეულების განმავლობაში დამკვიდრებული მაგნე პრაქტიკა, როცა თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი, პარლამენტში პარტიული დომინირების ფონზე, ძირითადად, აღმასრულებელი ხელისუფლების მხარდაჭერას და მისი პოზიციის გატარებას ემსახურება, საჭირო კრიტიკისა და ყოვლისმომცველი განხილვების გარეშე, განსაკუთრებით, დამტკიცებული პოლიტიკისა და გეგმების მონიტორინგის თვალსაზრისით. ამ მხრივ უნდა გაიზარდოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის ჩართულობა თავდაცვის გრძელვადიანი პოლიტიკის, თავდაცვის ძალების განვითარებისა და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის (თავდაცვის სისტემის) ხედვებისა და გეგმების დეტალურ და კრიტიკულ განხილვაში, ისევე როგორც თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროებში პროგრამული და საბიუჯეტო გეგმების შემუშავება-განხილვებში. აღნიშნული, საგრძნობლად გაზრდილი, უფლებამოსილების პირობებში,

¹³ Bayala, Boulin & others, *Parliamentary oversight of the security sector*, DCAF, 2023. 11-38 pp. <https://www.dcaf.ch/tool-5-parliamentary-oversight-security-sector>

კომიტეტის ფუნქციონირების უზრუნველყოფისთვის პრინციპულად საჭიროა მისი აპარატის შესაბამისი კვალიფიციური პერსონალით დამატებითი საშუალო უზრუნველყოფა.

საპარლამენტო მედამხედველობის უფრო მაღალი დონის უზრუნველსაყოფად უნდა დაიხვეწოს თავდაცვის მინისტრის ანგარიშის წარდგენის პროცედურა. არსებულ ფორმატში მინისტრის ანგარიში ატარებს მეტწილად პოლიტიკური გამოსვლის ხასიათს, რის გამოც მისი წარდგენა ხშირად არასაგნობრივ და ნაკლებად რელევანტურ პოლიტიკურ დებატებში გადაიზრდება. პარლამენტში საგნობრივი განხილვის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია, რომ მინისტრის წლიური ანგარიში, უპირველეს ყოვლისა, ასახავდეს ძირითადი საბიუჯეტო პროგრამების შესრულებას (ასევე მოიცავდეს განმარტებებს ვერ/არ შესრულებული ამოცანების თაობაზე) და ფოკუსირებული იყოს სამომავლოდ დაგეგმილი პროგრამების კონკრეტული მიზნების წარდგენაზე, რომელიც სტრატეგიულ დონეზე თავდაცვის და უსაფრთხოების პოლიტიკის გატარებას ემსახურება. ამასთან, საკანონმდებლო ორგანოს წევრების წინაშე წარდგენამდე მინიმუმ 14 კალენდარული დღით ადრე, მინისტრის ანგარიშის წერილობითი ვერსია უნდა გადაეგზავნოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტს, რათა კომიტეტში მოხდეს მისი კომპლექსური შეფასება და გაზიარება პარლამენტის წევრებს

შორის მინისტრის ანგარიშის წარდგენამდე. უნდა აღინიშნოს, რომ არსებული სისტემა (და სამართლებრივი ტრადიცია) ანიჭებს თავდაცვის მინისტრს გადაჭარბებულ უფლებამოსილებას უშუალოდ თავდაცვის უწყების შიგნით პოლიტიკურ თუ ბიუროკრატიულ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღებისას, რაც ხშირად სისტემის განვითარებასა და მდგრადობაზე უარყოფითად აისახება (დანიშვნების, დანიშნაურება-წახალისების და თავდაცვის ძალებთან ურთიერთობის სფეროში). მინისტრის პოლიტიკური ფიგურის მეგავლენიდან და სამინისტროს სამოქალაქო ოფისის, როგორც საჭარო სამსახურის ბიუროკრატიული ნეიტრალურობის მაქსიმალურად დაცვის მისაღწევად ერთ-ერთ ოპტიმალურ გამოსავალს წარმოადგენს ახალი უმაღლესი ადმინისტრაციული პოზიციის - თავდაცვის მდივნის თანამდებობის შემოღება, რომლის ფუნქცია იქნება თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ადმინისტრაციაში შემავალი ყველა სტრუქტურული ერთეულის ბიუროკრატიული კოორდინაცია, მართვა და მონიტორინგი. მდივანი მაღალი საპარლამენტო კონსენსუსის და კომპეტენციის საფუძველზე უნდა შეირჩეს თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის მიერ და დამტკიცდეს საქართველოს პარლამენტის მიერ, რაც მის და თავდაცვის სამინისტროს ანგარიშვალდებულებას პარლამენტის წინაშე კიდევ უფრო გაზრდის. თავდაცვის მდივნის

აპოლიტიკურობის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია, რომ კანონით შეიზღუდოს ამ თანამდებობაზე პოლიტიკური ფიგურის ან პოლიტიკური პარტიის წევრის დანიშვნა.

დღევანდელი მოცემულობით, თავდაცვის მინისტრს ჰყავს 5 მოადგილე, რომლებიც კურირებენ სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს. ადმინისტრირების მსგავსი პრაქტიკა ვერ ამართლებს, რადგან მინისტრის მოადგილეების პოლიტიკური ხასიათიდან გამომდინარე, ხდება როგორც თავდაცვის სისტემის ცალკეულ სფეროებში პოლიტიკური გავლენის სიღრმეებში განხორციელება, ისე სისტემის ვერტიკალური დაყოფა ცალ-ცალკე კურატორობის სფეროებად, რაც სტრუქტურულ ერთეულებს შორის ჰორიზონტალურ თანამშრომლობას საგრძნობლად აფერხებს. შესაბამისად თავდაცვის მდივნის ფიგურის შემოღებით, და თავდაცვის მინისტრისთვის მხოლოდ ერთი მოადგილის დატოვებით, მნიშვნელოვნად შემცირდება პოლიტიკური გავლენის რისკი, გაიზრდება სტრუქტურულ ერთეულებს შორის ჰორიზონტალური კოლაბორაცია და ქვემოლან ზემოთ (და არა როგორც დღეს არის - ზემოლან ქვემოთ) გადაწყვეტილების მომზადების პროცესის ინტენსივობა.

საუკეთესი საპარლამენტო კონტროლის მექანიზმებისა და არსებული მაგნე პრაქტიკებისა და შედეგების თავიდან ასაცილებლად თავდაცვის უწყებასა და

შეიარაღებულ ძალებში, აუცილებელი იქნებოდა თავდაცვის მინისტრის, მისი მოადგილის, თავდაცვის ძალების მეთაურის (გენშტაბის უფროსი) და თავდაცვის მდივნის გარდა, პარლამენტის მიერ თანამდებობებზე თავდაცვის ძალების მეთაურის მოადგილეების და შესაბამისი სარდლობების მეთაურების საკომიტეტო განხილვა, მაღალი დონის კონსენსუალური შეთანხმება და დამტკიცება. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული პროცესი მაქსიმალურად გამჭვირვალე იყოს და ეფუძნებოდეს ზეპარტიული შეთანხმების პრინციპს. აქედან გამომდინარე, ამ პროცესში განსაკუთრებით იზრდება თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის, როგორც განხილვისა და კონსენსუალური შეთანხმების მთავარი პლატფორმის როლი. ამასთან ერთად პრინციპულად მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, თავდაცვის ბიუჯეტის და სტრატეგიული პოლიტიკის დამტკიცება საპარლამენტო კონსენსუალური შეთანხმების ფორმით, ხოლო მეორე მხრივ, სამოქალაქო და ექსპერტული ჯგუფების ინტენსიური ჩართულობა უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკისა და დაგეგმვის პროცესში, რაც მათი მუდმივი თანამშრომლობის ინსტიტუციონალიზაციას გულისხმობს როგორც პარლამენტთან, ასევე, საკუთრივ, თავდაცვის სამინისტროსთან.

და ბოლოს, აღსანიშნავია, რომ თავდაცვის სამინისტროს ანგარიშვალდებულებების დამატებითი მექანიზმი, კერძოდ, გენერალური ინსპექცია, რომლის ფუნქციებშიც ადმინისტრაციული და ფინანსური დარღვევების აღმოჩენა-რეა-

გირება შედის, რეალურად მინისტრთან პირდაპირი დაქვემდებარების გამო, მინისტრის სრულიად მორჩილ სადამსჯელო ბერკეტად არის ქცეული პირადი შემადგენლობის კონტროლის მიზნით. შესაბამისად გენერალური ინსპექცია უნდა იქნას გაუქმებული და მისი ფუნქციები გადანაწილდეს აუდიტის სამსახურს და სამინისტროს ფინანსურ და ადამიანის რესურსების დეპარტამენტებს შორის.

ოტალური თავდაცვის და უწყებათშორისი თანამშრომლობის მნიშვნელობა საქართველოს თავდაცვისუნარიანობისთვის

ანგარიშის დასასრულს, წინამდებარე თავში, ასახულია ის ძირითადი საკითხები, რომლებსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მშვიდობიან პერიოდში, რათა განმტკიცდეს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა და როგორც სახელმწიფო უწყებები, ისე სამოქალაქო და კერძო სექტორი მაქსიმალურად მომზადებული აღმოჩნდეს ქვეყნის წინააღმდეგ სამხედრო აგრესიის განხორციელების შემთხვევაში შექმნილი კრიზისული ვითარებისთვის. რეალობიდან გამომდინარე, საქართველო ობიექტურად განიცდის რესურსების (ადამიანური, ფინანსური, მატერიალური) სიმცირეს, რაც ჩვენი ქვეყნისთვის განსაკუთრებით აქტუალურს ხდის ტოტალური თავდაცვის მოდელის იმპლემენტაციას. ამ მოდელის თანახმად უნდა მოხდეს ყველა სათანადო რესურსის ოპტიმიზაცია და მათი მიმართვა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისკენ. შედეგად, უნდა შეიქ-

მნას ისეთი მექანიზმები, რომლის მეშვეობით, სამხედრო აგრესიის შემთხვევაში, ქვეყნის მობილიზება თავდაცვის მიზნებისათვის სწრაფად და ეფექტიანად მოხდეს.

ასეთი მექანიზმების შესაქმნელად მშვიდობიან პერიოდში უნდა გატარდეს ყველა სათანადო ღონისძიება, რომლებიც უზრუნველყოფს ქვეყნის მედეგობას და სახელმწიფოს მიერ კრიტიკული ფუნქციების შესრულების უწყვეტობას კრიზისული და საომარი ვითარების დროს. ასეთ კრიტიკულ ფუნქციებს, NATO-ს სტანდარტების თანახმად მიეკუთვნება:

- ▶ მართვისა და ძირითადი სამთავრობო სერვისების მიწოდება, რაც პირველ რიგში გულისხმობს კრიზისის ან/და საომარი ვითარების პირობებში სამთავრობო გადაწყვეტილებების მიღების პროცესის უწყვეტობასა და მოქალაქეებთან გამართული კომუნიკაციის განხორციელებას;
- ▶ მდგრადი ენერგომომარაგება, რაც მოიცავს სარეზერვო ტექნიკური ბაზისა და მარაგების, ასევე როგორც გეგმების არსებობას, ენერგომომარაგების მხრივ შექმნილი პრობლემების აღმოსაფხვრელად;
- ▶ მოსახლეობის უკონტროლო გადაადგილების პრევენცია და ნაკადების ეფექტური მართვა, რაც, მათ შორის, გულისხმობს დროებითი განთავსების ადგილების წინმსწრებად მომზადებას;

- ▶ საკვები პროდუქტებითა და წყლით მომარაგების სტაბილური პროცესის უზრუნველყოფა, რაც, მათ შორის, ითვალისწინებს სტრატეგიული რეზერვების და (წყლის) სტაბილური მომარაგების ინფრასტრუქტურის შექმნას ქვეყნის მასშტაბით;
- ▶ ჯანდაცვის სისტემის მდგრადობა, რაც გულისხმობს როგორც პერსონალით ისე მედიკამენტების მარაგით უზრუნველყოფას, რათა მოხდეს კრიზისის ან/და საომარი ვითარების პირობებში სათანადო სამედიცინო მომსახურების განწევა;
- ▶ მდგრადი სამოქალაქო კომუნიკაციის სისტემა, რაც მოიცავს კრიზისის პირობებში მაგალითად, ტელეკომუნიკაციისა და კიბერქსელის გამართულ ფუნქციონირებას, სათანადო სარეზერვო სისტემის მხარდაჭერით;
- ▶ მდგრადი სატრანსპორტო სისტემა, მათ შორის კერძო სექტორთან აქტიური თანამშრომლობით.

მთავრობის მიერ კრიზისული და საომარი ვითარების დროს მასზე დაკისრებული კრიტიკული მნიშვნელობის ფუნქციების შესრულება უნდა იყოს ქვეყნის უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანა. ამ ამოცანის შესრულება შესაძლებელია მხოლოდ მჭიდრო უწყებათაშორის კოორდინაციის პირობებში, რომელიც ამავე დროს ეყრდნობა უწყებრივი თანამშრომლობის (მათ შორის წვრთნების / სწავლებების) მოკ-

ლე, საშუალო და გრძელვადიანი გეგმების რუტინულ შესრულებას. ეროვნულმა უსაფრთხოების საბჭომ და მისმა აპარატმა, როგორც ძირითადმა მაკოორდინირებელმა და მონიტორინგის განმახორციელებელმა ორგანომ უსაფრთხოების საკითხებზე, ამ პროცესში წამყვანი როლი უნდა შეასრულოს. საბჭოს როლი გადამწყვეტია კერძო სექტორთან ურთიერთობების კონტექსტშიც, რადგანაც კრიტიკული ინფრასტრუქტურის უდიდესი ნაწილი სწორედ კერძო საკუთრებას წარმოადგენს და მათი ფიზიკური უსაფრთხოების ხარისხის გაზრდა, უსაფრთხოების პრაქტიკული სწავლებების ჩატარება თუ შესაბამისი რეზერვების (მაგ. ენერგომატარებლების ან მარაგანაწილების) დაგროვება მესაკუთრის პასუხისმგებლობას წარმოადგენს.

უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვის პროცესი, ასევე მოიცავს სხვადასხვა სფეროში არსებული ნაკლოვანებების - მოწყვლადი ადგილების იდენტიფიცირებას და მათი აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი გადამწყვეტილებების მიღებას. დღეს არსებული ვითარებიდან გამომდინარე ერთ-ერთ ასეთ მოწყვლად მიმართულებად შეიძლება მივიჩნიოთ საზღვრის დაცვის სფეროში სათანადოდ განვრთნილი და ალტერნატიული ქვედანაყოფების არარსებობა, რომლებიც უზრუნველყოფდა მოწინააღმდეგის პირველადი შემოტევის შეკავება/შეყოვნებას. შესაბამისად, მიზანშეწონილია საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ზოლში რისკის შემცველი მონაკვეთების იდენტი-

ფიცირება. ამასთან ერთად, სასაზღვრო პოლიციის ბაზაზე უნდა მომზადდეს სათანადოდ ალტერნატიული სწრაფი რეაგირებისა და პირველადი სამხედრო შეკავების ქვედანაყოფები. სწორედ ეს ქვედანაყოფები უნდა განთავსდეს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის რისკის შემცველ ზონებში, რათა მათ შეასრულონ მოწინააღმდეგის პირველადი შემოტევის შეკავების/შეყოვნების საბრძოლო ამოცანა. ამავედროულად, სასაზღვრო პოლიციის ეს ქვედანაყოფები მჭიდრო კოორდინაციაში უნდა იყვნენ თავდაცვის ძალების იმ ქვედანაყოფებთან, რომლებიც მათი განთავსების არეალშია დისლოცირებული და რომელთა ამოცანას შეტევაზე გადმოსული მტრის განადგურება წარმოადგენს.

სახელმწიფო საზღვართან ერთად საქართველოს უსაფრთხოებისთვის დამატებით მნიშვნელოვან მოწყვლად მიმართულებას წარმოადგენს საოკუპაციო ზოლი. სახელმწიფო საზღვრის ზოლის განგანსხვავებით, ამ შემთხვევაში მოწინააღმდეგის პირველადი შემოტევის შეკავება/შეყოვნების ამოცანა უნდა დაეკისროს არა სასაზღვრო პოლიციას, არამედ საქართველოს თავდაცვის ძალებს. კერძოდ, იმ სამხედრო ქვედანაყოფებს, რომლებიც გეოგრაფიულად დისლოცირებულია საოკუპაციო ზოლის მიმდებარე ტერიტორიაზე. თავის მხრივ, შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ქვედანაყოფების მხრიდან უნდა გატარდეს სათანადო ზომები საოკუპაციო ზოლის მუდმივ რეჟიმში ღია და ფარული მონიტორინგის უზრუნველყოფის მიზნით. ამისათვის აუცილებელია საოკუ-

პაციო ზოლთან განთავსებული შსს-ს შესაბამისი ქვედანაყოფების სათანადო ტექნიკური აღჭურვა და ასევე, საოკუპაციო ზოლის გასწვრივ სათანადო მუდმივი კონტროლისა და თვალთვალის ინფრასტრუქტურის მოწყობა.


საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, წარმოადგენს შსს-ის კიდევ ერთ სტრუქტურას, რომელსაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი დაეკისრება საომარი ვითარების დროს სხვადასხვა ამოცანის შესასრულებლად. ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ ეს ამოცანები წინასწარ იყოს განწერილი და ასევე, საგანგებო სიტუაციების

მართვის სამსახურს წინასწარ ჰქონდეს შესაბამისი წვრთნები და ტრენინგები გავლილი, რათა იგი მომზადებული შეხვდეს საომარი ვითარების დროს მასზე დაკისრებული ამოცანების შესრულებას. ტოტალური თავდაცვის მოდელი ითვალისწინებს თავდაცვის ძალების ეფექტურ მხარდაჭერას არა მხოლოდ შსს-ის, არამედ სხვა სახელმწიფო უწყებების მხრიდან, რაც უნდა განხორციელდეს თავდაცვის მზადყოფნის გეგმის შესაბამისად. მათ შორის, ამ გეგმის თანახმად, წინასწარ უნდა იყოს განწერილი სხვადასხვა უწყების (მაგალითად შსს, სუს, სსდსს, სდს) დაქვემდებარებაში

არსებული ის გასამხედროებელი ქვედანაყოფები, რომლებიც გადადიან თავდაცვის ძალების დაქვემდებარებაში, ისევე როგორც მკაფიოდ უნდა იყოს განწერილი მათი საბრძოლო ამოცანები. ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია, რომ სამართალდამცავ უწყებებშიც უნდა შენარჩუნდეს გარკვეული გასამხედროებელი კომპონენტი, რომელიც შესაძლოა საჭირო გახდეს ქვეყნის სიღრმეში წინასწარ შემოგზავნილ დივერსანტთა თუ სხვა სახის ჯგუფების გასანეიტრალეზად.

თაზი VI

ღ ა ს კ ვ ნ ბ



დასკვნა

საქართველო მოწყვლადია მრავალი სხვადასხვა საფრთხის წინაშე, რასაც კიდევ უფრო ართულებს ის გარემოება, რომ ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების გარემო რთული და არასტაბილურია. გარდა იმისა, რომ ქვეყანა პირდაპირ დგას საკმაოდ სერიოზული რისკების წინაშე, რომელიც მათ შორის, მისი სუვერენიტეტის შეზღუდვისა და ტერიტორიული მთლიანობის მოშლის საფრთხეებს უკავშირდება, მის უსაფრთხოებას კიდევ უფრო მოწყვლადს ხდის ის კომპლექსური პროცესები, რომელიც ჩვენს რეგიონში და მთლიანად საერთაშორისო პოლიტიკაში ვითარდება.

ასეთ ვითარებაში, ქვეყნის თავდაცვისა და უსაფრთხოების სისტემის განვითარება, ბუნებრივია, ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს. თუმცა, სამწუხაროდ, დღეს, როგორც თავდაცვის სფეროში, ისე მთლიანად ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების თვალსაზრისით, არსებული ვითარება გამოკვეთილად არასახარბიელოა. არ არსებობს კონცეპტუალური ხედვა და მიდგომა თუ როგორ უნდა მოხდეს ამ სფეროების განვითარება. ამ ფონზე იქმნება შთაბეჭდილება, რომ განვითარების პროცესი არა მხოლოდ შენელებული, არამედ შეჩერებულია.

პროექტზე მუშაობის დროს, საქართველოს უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროს კომპლექსუ-

რი ანალიზის შედეგად, მკაფიოდ გამოიკვეთა ფუნდამენტური რეფორმების განხორციელების საჭიროება მრავალი სხვადასხვა მიმართულებით. ეს რეფორმები ეხება არა მხოლოდ თავდაცვის სამინისტროსა და თავდაცვის ძალებს, არამედ სხვა შესაბამის უწყებებსაც. ამასთან, მკაფიოდ გამოიკვეთა, რომ უნდა მოხდეს საკანონმდებლო ბაზის დახვეწა. გაიმიჯნოს და გამოიკვეთოს ცალკეული სახელმწიფო ინსტიტუტებისა და უწყებების როლი. ასევე, გაიზარდოს პარლამენტის როლი თავდაცვის და მთლიანად უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში. შესაბამისად, შეგვიძლია თავდაცვის და თავდაცვასთან ბმაში მყოფი უსაფრთხოების სისტემის გასაუმჯობესებლად შემდეგი კონკრეტული ნაბიჯები გამოვყოთ, რომლებიც თავისი მნიშვნელობით გადაუდებელ და გრძელვადიან მოქმედებათა კატეგორიებად შეიძლება დაიყოს:

გადაუდებელი ნაბიჯები:

- ▶ კონსტიტუციაში უნდა მოხდეს შესწორებების შეტანა, რომელიც აღმოფხვრის ბუნდოვანებას საომარი მდგომარეობის გამოცხადების დროს საქართველოს პრეზიდენტის და პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილების თაობაზე. როგორც მშვიდობიან, ისე საომარი ვითარების დროს პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს პრემიერ მინისტრს.

შესაბამისად, უნდა გაუქმდეს ეროვნული თავდაცვის საბჭო, ხოლო მისი ფუნქციები დაეკისროს ეროვნულ უსაფრთხოების საბჭოს, რომელიც არის მუდმივმოქმედი ორგანო საქართველოს პრემიერ-მინისტრის დაქვემდებარებაში და გააჩნია შესაბამისად დაკომპლექტებული აპარატი.

- ▶ შესაბამის კანონში შეტანილი ცვლილებების შედეგად უნდა გადაკეთდეს ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს სტრუქტურა საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით. შედეგად, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მდივანი უნდა გახდეს არა შეთავსებითი არამედ დამოუკიდებელი თანამდებობა, რომელსაც მიენიჭება ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩევლის სტატუსი. ასევე აუცილებელია ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მდივნის მოადგილეების (ოპტიმალურია სამი მოადგილე) თანამდებობათა შემოღება;
- ▶ საკანონმდებლო დონეზე უნდა იქნას მიღებული ისეთი ნორმები, რომელიც, ერთი მხრივ, თავდაცვის მინისტრის (და მოადგილეების) და გენერალური შტაბის უფროსის (და მოადგილეების და სარდლების) შერჩევა-დამტკიცებას პარლამენტს.

ტის მიერ ინტერპარტიული კონსენსუსის საფუძველზე მოახდენს. ხოლო, მეორე მხრივ, შეზღუდავს თავდაცვის სამინისტროში საკადრო საკითხებზე პოლიტიკური გადამწყვეტილებების მიღებას და გაზრდის თავდაცვის მინისტრის ანგარიშვალდებულებას საქართველოს პარლამენტის წინაშე. ამისთვის, თავდაცვის სამინისტროში უნდა შეიქმნას ახალი უმაღლესი ადმინისტრაციული პოზიცია - თავდაცვის მდივნის თანამდებობა, რომელსაც განესაზღვრება შესაბამისი კომპეტენცია თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ადმინისტრაციაში შემავალი ყველა სტრუქტურული ერთეულის ბიუროკრატიული კოორდინაციის, მართვისა და მონიტორინგის ჩათვლით;

ადინიშნული ინსტიტუციური ცვლილებების გარდა მოკლე დროში უნდა მოხდეს შემდეგი ღონისძიებების ბატარეა:

- ▶ თავდაცვის წლიური ბიუჯეტის გაზრდა მინიმუმ მშპ-ს 6%-მდე და ამ ზღვარის შენარჩუნება უსაფრთხოების გარემოს პოზიტიურ ცვლილებამდე.
- ▶ გამოყოფილი ფინანსური სახსრებით აუცილებელი არსებული ქვედანაყოფების სრული დაკომპლექტება, აღჭურვილობისა და შეიარაღების შექმნა, ისევე როგორც საჭირო მარაგების შექმნა და საორგანიზაციო-ინფრასტრუქტურული (მათ

შორის სატრანსპორტო-საკომუნიკაციო) სამუშაოების ჩატარება ლოგისტიკის (მომარაგების) სისტემის და ოპერატიული რეზერვების (ზურგის) გასაუმჯობესებლად.

- ▶ მტრის უპირატესობის ფაქტორების გათვალისწინებით, რეალისტური გეგმის მიხედვით, დამატებითი და შესაბამისი აღჭურვილობის მქონე ქვედანაყოფების თანმიმდევრობით შექმნა და განვრთვა.
- ▶ ქვედანაყოფების განვრთვა (აღჭურვა) და განსაკუთრებით უმცროსი მეტაურების გადამზადება საბრძოლო ამოცანების შინაარსისა და მოთხოვნების შესაბამისად ოპერატიული მოქმედების ზონის ფარგლებში.
- ▶ მაქსიმალურად სწრაფად ქვედანაყოფების და მარაგების გაჯერება სადაზვერვო, საკომუნიკაციო და დამრტყმელი უპილოტო სისტემებით და მათი ინტეგრირება მართვისა და კონტროლის სისტემაში.
- ▶ ქვედანაყოფების მაქსიმალური აღჭურვა ღამის ხედვის აპარატებით და ინდივიდუალური აღჭურვილობის მაქსიმალური გაუმჯობესება, მათ შორის საკომუნიკაციო, შენიღბვის და სამედიცინო საშუალებებით.
- ▶ სანაპირო დაცვის მობილური ჯგუფების შექმნა და აღჭურვა სარაკეტო სისტემებით.

- ▶ რეგულარული ჯარის სრულად გადაყვანა საკონტრაქტო საფუძველზე და ანაზღაურების და სოციალური პაკეტის საგრძნობი გაუმჯობესება.
- ▶ მოკლე დროში კრიტიკულ ინფრასტრუქტურაში არსებული ნაკლოვანებების დადგენა და მათი აღმოფხვრა.
- ▶ ყველა დონეზე თავდაცვის სამინისტროს, თავდაცვის ძალებსა და სხვა რელევანტურ სახელმწიფო უწყებებს შორის დაგეგმვის და პრაქტიკული სწავლებების სიხშირის და კოორდინაციის გაზრდა საომარი ვითარების დროს სახელმწიფო სერვისების სტაბილური უზრუნველყოფისთვის.
- ▶ სამხედრო რეზერვის და ტერიტორიული თავდაცვის სამოხალისო ქვედანაყოფების და მათი ბრძოლისუნარიანობის მაქსიმალური გაზრდა.

ბრძელვადიანი ნაბიჯები

- ▶ ქვედანაყოფების დისლოკაციის ადგილის შეცვლა ოპერატიული დანიშნულების რაიონებთან მაქსიმალურ სიახლოვეს, ლოგისტიკური სისტემის შესაბამისი მორგებით.
- ▶ მაქსიმალურად გაიზარდოს მთავორიან პირობებში ბრძოლის სანარმოებლად შესაბამისი ქვედანაყოფების შექმნა, აღჭურვა და განვრთვა.
- ▶ თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისის მკა-

ფიო გამიჯნა თავდაცვის ძალებისგან.

- ▶ თავდაცვის მინისტრის კანდიდატის შერჩევა-დანიშნა პოლიტიკური კონსენსუსის საფუძველზე.
- ▶ თავდაცვის სამინისტროში ასევე კონსენსუსის შედეგად მაღალი საზოგადოებრივი ნდობით აღჭურვილი „მუდმივ-მოქმედი მდივნის“ დანიშნა არასაარჩევნო ვადით (მაგ. 6 წლით), რომლის ძირითადი ფუნქცია იქნება თავდაცვის სისტემის ბიუროკრატიული ეფექტურობისა და უწყების პოლიტიკური ნეიტრალურობის გარანტირება.
- ▶ თავდაცვის გრძელვადიანი დაგეგმვის ეფექტური და ინსტიტუციონალიზირებული მექანიზმის დანერგვა, რომლის ფარგლებშიც მოხდება როგორც შეიარაღებული ძალების სტრუქტურის, ქვედანაყოფების საბრძოლო შესაძლებლობებისა და განლაგების, ასევე ინფრასტრუქტურის, ლოგისტიკის,

წვრთნისა და შესყიდვებისა და სხვა საკითხების ეფექტური დაგეგმვა.

- ▶ ადამიანური რესურსების და კარიერული წინსვლის გამართული და სამართლიანი პოლიტიკის განხორციელება, მათ შორის: საველე მეთაურების აღზრდას, განათლებას, დაწინაურებას და მათი ცოდნის ეფექტურად გამოყენება, მიღებული გამოცდილების სწრაფი და სრული ინტეგრირება.
- ▶ თავდაცვის სპეციალური წოდების მინიჭების პრაქტიკის სასწრაფოდ გაუქმება.
- ▶ თავდაცვის სისტემიდან გენერალური ინსპექციის გატანა და შიდა აუდიტის, ისევე როგორც სამხედრო ომბუდსმენის ფიგურის (გაჩენა) გაძლიერება.
- ▶ სამხედრო მრეწველობის ხელშეწყობა და შესყიდვების პოლიტიკის გადახედვა გრძელვადიანი შესყიდვების

უმრუნველსაყოფად. აქცენტი უნდა გაკეთდეს წინასწარ დადგენილი სტანდარტების დაკმაყოფილებაზე განსაკუთრებით საველე პირობებში.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ თავდაცვისა და უსაფრთხოების, ისევე როგორც სხვა ნებისმიერი სფეროს, განვითარება უწყვეტი პროცესია და ერთჯერადი რეფორმა შედეგს ვერ მოიტანს. შესაბამისად, აუცილებელია მკაფიო ინსტიტუციონალურ ჩარჩოს ჩამოყალიბება, რომელიც უმრუნველყოფს განვითარების პროცესს, სისტემური მიდგომის, კომპლექსური ანალიზის და უწყებათაშორისი კოორდინაციისა და ჩართულობის პირობებში. ამის მისაღწევად, აუცილებელია, რომ არსებითად გაუმჯობესდეს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვის პროცესი, რომელიც ზემოხსენებულ კომპონენტებს მოიცავს და როგორც ქვეყნის წინაშე არსებული საფრთხეების მინიმიზაცია/განეიტრალებას, ისე შესაბამისი უწყებების საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდას ემსახურება.

გამოყენებული წყაროები

- ▶ Anna Ohanyan, Azerbaijan's Armenian 'Corridor' Is a Challenge to the Global Rules-Based Order, Foreign Policy, 2023. <https://foreignpolicy.com/2023/11/02/azerbaijan-armenia-zangezur-corridor/>
- ▶ Asami Terajima, Military intelligence: More than 420,000 Russian soldiers deployed across occupied territories, The Kyiv Independent, 2023. <https://kyivindependent.com/military-intelligence-more-than-420-000-russian-soldiers-deployed-across-occupied-territories/>
- ▶ Jack Watling and Nick Reynolds. "Meatgrinder: Russian Tactics in the Second Year of Its Invasion of Ukraine". RUSI (Royal United Services Institute) May 19, 2023, available: <https://static.rusi.org/403-SR-Russian-Tactics-web-final.pdf>
- ▶ John F. Antal, "7 Seconds to Die" (A Military Analysis of the Second Nagorno-Karabakh War and the Future of Warfighting) 2022. Available: https://www.google.com/books/edition/7_Seconds_to_Die/NNBkEAAAQBAJ?hl=en&gbpv=1&fbclid=IwAR27eBO9j6MxUgD1AlhhvxlwHKZslwP7K5DUwgxTMYHe94tYkKfKrtkg8
- ▶ Mark F. Cancian. "Will Russia Control the Skies over Ukraine?", CSIS (Center for Strategic and International Studies), April 25, 2023, available: <https://www.csis.org/analysis/will-russia-control-skies-over-ukraine?fbclid=IwAR35shBg-mAYOskrj8VGIF0mZwGp27VZuvb5HqTO1Gv6aHL-daVeXrqHFMjBY>
- ▶ Mark F. Cancian და James Anderson. "Expanding Equipment Options for Ukraine: The Case of Artillery". CSIS (Center for Strategic and International Studies) გამოქვეყნების თარიღი: 2023 23 იანვარი. ონლაინ ბმული: https://www.csis.org/analysis/expanding-equipment-options-ukraine-case-artillery?fbclid=IwAR0e9UZZi0yEsaDG81FzqyMstqQALuyxxtWEF-DO5gbmeDqXa0A1VrdxqV_w
- ▶ Olga Oliker, Lynn E. Davis, Keith Crane, Andrew Radin, Celeste Ward Gventer, Susanne Sondergaard, James T. Quinlivan, Stephan B. Seabrook, Jacopo Bellasio, Bryan Frederick, Andriy Bega, Jakub Hlavka. "Security Sector Reform in Ukraine". RAND Corporation. 2016. Available: https://www.rand.org/content/dam/rand/pubs/research_reports/RR1400/RR1475-1/RAND_RR1475-1.pdf?fbclid=IwAR1naOtosi4I5fTvWfW_PcX-R58Ha1J-J3Fn6HFW2Kbwjo75_3z8GbbEKF8
- ▶ Roger Z. George & Harvey Rishikof. "The National Security Enterprise, Institutions, Cultures, and Politics". Chapter one, Introduction. Georgetown University Press/ Washington, DC. Second Edition. 2017.
- ▶ Shaan Shaikh and Wes Rumbaugh, "The Air and Missile War in Nagorno-Karabakh: Lessons for the Future of Strike and Defense", CSIS (Center for Strategic and International Studies), December 2020, available: <https://www.csis.org/analysis/air-and-missile-war-nagorno-karabakh-lessons-future-strike-and-defense?fbclid=IwAR1-MVvNvzCz-5OfnxEOwjZdFSboVJIY-J7gl56PSpl2R48RKfO-mnOv9dE>
- ▶ გიორგი ბილანიშვილი. „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა - პრობლემები და გამონგვევები“. უსაფრთხოების მიმოხილვა. რონდელის ფონდი. 2019.
- ▶ <https://gfsis.org/%e1%83%94%e1%83%a0%e1%83%9d%e1%83%95%e1%83%9c%e1%83%a3%e1%83%9a%e1%83%98-%e1%83%a3%e1%83%a1%e1%83%90%e1%83%a4%e1%83%a0%e1%83%97%e1%83%ae%e1%83%9d%e1%83%94%e1%83%91%e1%83%98%e1%83%a1-%e1%83%9e%e1%83%9d/>
- ▶ A Russian informational operation in georgia against the european union, ISFED, 2023. <https://www.isfed.ge/en/blogi/ganakhlebuli-rusuli-sainformatsio-operatsia-saqartveloshi-evrokavshiris-tsinaaghmdeg->
- ▶ Бжания: Сухуми готов возобновить железнодорожное сообщение, если Тбилиси согласится, Sova News, 2023. <https://sova.news/2023/10/22/bzhaniya-suhumi-got-ov-vozobnovit-zheleznodorozhnoe-soobshhenie-esli-tbilisi-soglasitsya/>
- ▶ Мария Захарова: мы прилагаем все усилия для открытия железной дороги из РФ в

- Армению через Абхазию, Sova News, 2023. <https://sova.news/2023/06/28/mariya-zaharova-my-prilagaem-vse-usiliya-dlya-otkrytiya-zheleznoj-dorogiz-rf-v-armeniyu-cherez-abhaziyu/>
- ▶ ემიგრაცია & გაბუნია, საქართველოს უმცირესობები: ინტეგრაციის გზაზე არსებული ბარიერების ნგრევა, Carnegie Europe, 2021. https://carnegieendowment.org/files/Amirejibi_Gabunia_Georgia_Minorities_Georgian_Translation.pdf
 - ▶ 2022 წელს საქართველოს საზღვარი რუსეთის 1 459 546-მა მოქალაქემ გადმოკვეთა – შსს-ს სტატისტიკა, ტაბულა, 2023. <https://tabula.ge/ge/news/696241-2022-cels-sakartvelos-sazghvari-rusetis-1-459-546>
 - ▶ Andrei Kolesnikov, Putin's War Has Moved Russia from Authoritarianism to Hybrid Totalitarianism, Carnegie Endowment for International Peace, 2022. <https://carnegieendowment.org/2022/04/19/putin-s-war-has-moved-russia-from-authoritarianism-to-hybrid-totalitarianism-pub-86921>
 - ▶ DEMOCRACY REPORT 2022: Autocratization Changing Nature? The V-Dem Institute, 2023. https://v-dem.net/media/publications/dr_2022.pdf
 - ▶ Nakashima & Linch, Biden order proposes new restrictions on China tech investment, The Washington Post, 2023. <https://www.washingtonpost.com/national-security/2023/08/09/china-ban-technology-biden-military/>
 - ▶ 'Untrustworthy': US bans Chinese technology from Huawei, others, The Sydney Morning Herald, 2022. <https://www.smh.com.au/world/north-america/untrustworthy-us-bans-chinese-technology-from-huawei-others-20221126-p5c1gq.html>
 - ▶ Bayala, Boulin & others, Parliamentary oversight of the security sector, DCAF, 2023. 11-38 pp. <https://www.dcaf.ch/tool-5-parliamentary-oversight-security-sector>
 - ▶ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, "თავი 6: საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები," in "საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი, 2022, <https://mof.ge/5603>.
 - ▶ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია. 2011. თბილისი [file:///C:/Users/User/Downloads/NSC-GEO%20\(1\).pdf](file:///C:/Users/User/Downloads/NSC-GEO%20(1).pdf)
 - ▶ „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ“. 2015. თბილისი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2764463?publication=14>
 - ▶ საქართველოს კონსტიტუცია, 2020, მუხლი 73. ეროვნული თავდაცვის საბჭო, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>
 - ▶ James E. Payne and Anandi Prasad Sahu, eds., Defense Spending and Economic Growth (Boulder: Westview, 1993).
 - ▶ საქართველოს კანონი „საომარი მდგომარეობის შესახებ“. 2018. მუხლი 41, მუხლი 42, მუხლი 43. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/28336?publication=5>
 - ▶ საქართველოს ორგანული კანონი ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/28642?publication=8>
 - ▶ თავდაცვის კოდექსი (საქართველოს კანონი) <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5916285?publication=1>
 - ▶ საქართველოს კანონი საქართველოს თავდაცვის შესახებ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/28330?publication=22>
 - ▶ საქართველოს კანონი სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31780?publication=81>
 - ▶ სახელმწიფო ბიუჯეტი (წლების მიხედვით) https://www.mof.ge/saxelmwifo_biujeti_wlebis_mixedviti
 - ▶ „საქართველოს საფრთხეების შეფასების 2010–2013 წწ. დოკუმენტის“ დამტკიცების თაობაზე <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1032959?publication=0>
 - ▶ საშუალოვადიანი გეგმებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული ბიუჯეტის ფორმატი შედგენის მეთოდოლოგია, დანართი-2, <https://matsne.gov.ge/ka/document/download/4273795/0/2>
 - ▶ "Attack On Europe: Documenting Russian Equipment Losses During the Russian Invasion of Ukraine". Oryx, February 24, available: <https://www.oryxspioenkop.com/2022/02/attack-on-europe-documenting-equipment.html?fbclid=IwAR1-MVVnNvzCz-5OfnxEOwjZdFSboV-JIYJ7gI56PSpl2R48RKfO-mnOv9dE>



REPORT – 2024

GEORGIA'S DEFENCE MODEL - A CRITICAL
CHOICE IN A RISKY ENVIRONMENT

CONTENTS

Foreword	49
Executive Summary.....	50
Introduction.....	51
I. Georgia's Security Environment - Main Trends and Threats.....	52
Military Threats.....	53
Threats of Non-Military Nature.....	54
Global Trends and Processes.....	55
II. Significant Trends in Modern Warfare.....	56
"44 Days War" in Karabakh (2020 Year).....	57
Russian Aggression against Ukraine.....	57
Summary Conclusions.....	58
III. Operational Vision and Required Combat Capabilities.....	59
Operational Vision.....	60
Defense Forces Combat Capabilities and Technological Aspects.....	61
IV. Force Structure, Command and Defense Capabilities.....	63
Maximalist Approach: Force Structure and Financial Resources.....	64
Realistic Approach: Force Structure and Financial Resources.....	66
V. Defense Policy as Part of the National Security Policy, Institutional Arrangement and Democratic Control.....	71
Defense as Part of Security (Interagency) Policy.....	72
Role of Minister of Defense and Parliamentary Control.....	73
Importance of Total Defense and Interagency Cooperation for Georgia's Defense Capability.....	75
VI. Conclusion.....	77
Urgent steps.....	78
Long-term Steps.....	79
Bibliography.....	80

FOREWORD

